ავთანდილ გურასაშვილი

სპორტის კაცი



AVTANDIL GURASASHVILI

MAN OF SPORT



ჯანსულ ბაგრატიონს

მტერი ქართველთა
შენს გვარსა და ჯილაგს შეხლია,
მე კაცი მიყვარს
ის, რომელიც მეხთან მეხია,
შენი სახელით
მართლა ბევრგზის დამიკვეხნია,
ჩემი სახელის მოზიარე –
შენ ხარ სეხნია.
ღმერთო, მაღალო,
სანამ მტერი გაგვატიალებს,
კვლავ დაუბრუნე საქართველო
ბაგრატიონებს,
მე მწამს და მჯერა,
ძველებურად მაგრად იომებს.

ჯანსულ ჩარკვიანი

სსჟპ

სპორტის კაცი

ხუთი წლის წინათ ვთქვი და გავიმეორებ: არ მინდა, გულწრფელი საიუბილეო ბარათის ნაცვლად „ტრადიციული“ ლამაზ-ლამაზი და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გროვა გამომივიდეს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას თავად იუბილარი არ მომიწონებს.

ჯანო ბაგრატიონზე მოგახსენებთ, რომლის სამოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით ეს წიგნი ისტამბება.

ქართულ ოლიმპიურ ენციკლოპედიაში ჯანო ბაგრატიონის გზის უმნიშვნელოვანესი მომენტებია აღნუსხული.

მხოლოდ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემით ძნელია იმსჯელო პიროვნების ხასიათზე, მის ღირსება-ნაკლოვანებებზე. თუმცა, თუნდაც ის მწირი ინფორმაცია ადასტურებს: ჯანო ბაგრატიონი სპორტის კაცია.

ამას დაგიდასტურებთ ყველა, ვისაც ჯანო ბაგრატიონთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს.

შორი გზაა ჯარისკაცობიდან გენერლობამდე. არანაკლებ შორია სპორტსმენობიდან სპორტის კაცობამდე.

შეიძლება ნიჭიერი სპორტსმენი იყო, ალღოიანი მწვრთნელი, უნარიანი სპორტის მუშაკი, მაგრამ სპორტის კაცი ვერ გახდე.

და საერთოდ: რომ გახდე საქმის კაცი, ოჯახის კაცი, სიტყვის კაცი, სპორტის კაცი, უწინარესად კაცი უნდა იყო. სხვაგვარად, გვარიშვილობა — ბაგრატიონობაც ვერ გიშველის.

ბატონ ჯანოს გვარიშვილობაც მოსდგამს და ზნეკეთილობაც.

ელგუჯა ბერიშვილი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი

MAN OF SPORT

I will repeat what I have said five years ago: "I don't want to replace a sincere congratulation in a jubilee greeting card with a bunch of "traditional" trite expressions. The jubilee person himself will most likely disagree with this idea, letting alone others. Yes, I'm speaking about Jano Bagrationi whose 70th anniversary is a reason for publishing this book. The Georgian Olympic Encyclopedia describes milestone moments of Jano Bagrationi's course of life. It's difficult to judge about a person's nature only by dry biographical data, but even this scarce information confirms that Jano Bagrationi is a man of sport. Anybody who has business-like relations with Jano Bagrationi can reaffirm this. It takes a long way for a soldier to become a general and the way from sportsman to man of sport is not shorter.

One might be a gifted sportsman, talented coach, intelligent sport manager but never become a man of sport. To become a genuinely business person, family man, man of his word and a man of sport one must be a man and neither noble birth and nor famous origination will help. Nature has provided Jano Bagrationi with both noble birth and a high integrity.

ELGUJA BERISHVILI

President of Georgian Association of Sport Writers

ბატონ ბაგრატიონს,

მსურს საუკეთესო სურვილებით გულითადად მოგილოცოთ 70 წლის იუბილე.

როგორც წარმატებულ ხელბურთელსა და მწვრთნელს თქვენ წლების განმავლობაში არაერთხელ მოგიპოვებიათ ყოფილი სსრკ-ის ჩემპიონატების გამარჯვებულის ტიტული. თქვენი ხელმძღვანელობით ხელბურთში მრავალი ცნობილი, მათ შორის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ვარჯიშობდა. სპორტში თქვენი საქმიანობა მხოლოდ ამით არ შეშოფარგლულა, რადგან 10 წლის განმავლობაში სათავეში ედექით პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრას. ამასთან, ხელმძღვანელი თანამდებობები გეკავათ ჯერ როგორც თბილისის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს, ხოლო შემდგომ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე მანამ, სანამ საქართველოში სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილის თანამდებობას დაიკავებდით.

1989 წლის 6 ოქტომბერს თქვენ იყავით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, ხოლო მოგვიანებით მისი ვიცე პრეზიდენტი, შემდეგ, 1996 წლის დეკემბრიდან 2004 წლის დეკემბრამდე მისი პრეზიდენტიც, დღეს კი ამ ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტი ბრძანდებით. თქვენ ამავე დროს მთავარი მისიის ფუნქცია გეკისრებოდათ ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც საქართველომ 36-კაციანი დამოუკიდებელი გუნდით სპორტის 13 სახეობაში პირველად იასპარეზა.

მთელი ამ წლების განმავლობაში თქვენ ქართული სპორტის ისტორიაში თვალსაჩინო ფიგურა გახდით და მხარს უჭერდით ქვეყანაში სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის, მათი ღირებულებების წარმოჩენას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. ყველა ამ დამსახურებათა აღიარების ნიშნად საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს ეოკ-მა და სოკ-მა სახელმწიფო და საერთაშორისო ოლიმპიური ორდენებით დაგაჯილდოვათ.

ოლიმპიური მოძრაობა მადლობელია ესოდენ დიდი წვლილისთვის და მსურს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და გისურვოთ ბედნიერი 70 წლის იუბილე!

ჟაკ როგი,
სოკ-ის პრეზიდენტი

Dear Mr Bagrationi,

I would like to convey my best wishes and congratulations to you on the occasion of your 70th birthday.

As a successful handball player and coach, you have collected championship titles from the former USSR, and then from Georgia, for several decades. And many Olympic champions and prize-winners have practised handball under your leadership for years. You never left the field of sport as, among other things, you ran the Department of Physical Culture of the Polytechnic Institute for 10 years. You also took on leading roles as Chairman of the Tbilisi Sport Committee and Deputy Chairman of the Georgian State Sport Department, before holding the position of Deputy Minister of Sports and Tourism for Georgia.

On 6 October 1989, you were one of the founders of the Georgian National Olimpic Committee, before becoming its Vice-President, then President from December 1996 to December 2004 and today its Honorary President. You were also the Chef de Mission for the 1996 Atlanta Olimpic Games, for which Georgia competed with an independent team for the first time, with a total of 36 athletes in 13 sports.

Throughout all these years, you have become an outstanding figure in the history of Georgian sport, supporting the Olympic Movement's activities in your country and promoting sport and its values among people, and in particular young people. Along with these achievements, you have been recognized by the Georgian government, the Georgian NOC and the IOC, which awarded you the Olympic Order.

The Olimpic Movement is gpateful to you for these many contributions.

I wish you an enjoyable celebration and a Happy 70th Birthday!

JACQUES ROGGE
IOC President

შტრიხები პორტრეტისათვის

FEATURES TO THE PORTRAIT

I

თბილისი. 1999 წელი.
ხუან ანტონიო სამარანჩმა ჯანო
ბაგრატიონი ოლიმპიური
ორდენით დააჯილდოვა

Tbilisi. 1999.
Juan Antonio Samaranch has decorated Jano Bagrationi with Olympic Order

ვილნიუსი. 1998 წელი.
ჯანო ბაგრატიონი ლიტვის ეოკ-ის
პრეზიდენტმა არტურას პავილუნასმა
თავისი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის
მედლით დააჯილდოვა

Vilnius. 1998.
Arthuras Paviliunas, LNOC president personally decorated Jano Bagrationi with the honorable medal of LNOC

კაცი,რომელმაც მთელი ცხოვრება სპორტს ანაცვალა

ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონი დაიბადა თბილისში, 1938 წლის 4 აპრილს. 1977 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მანამდე, 1962 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის დამთავრების მერე იქვე დატოვეს კათედრაზე სამუშაოდ. თერთმეტი წელი იყო ამავე ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე, დოცენტი.

1983 წლიდან მუშაობდა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, 1986 წლიდან საქართველოს სპორტკომიტეტის, მერე სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, ბოლოს, სპორტის დეპარტამენტად წოდებული ორგანიზაციის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1994 წლიდან იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, 1996 წლის მიწურულს კი აირჩიეს მის პრეზიდენტად, რითაც ორი თანამდებობა შეითავსა. იგი ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე იყო ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი.

თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა გუნდის წევრებთან ერთად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორი. არის სპორტის საპატიო ოსტატი, საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, 18 სამეცნიერო მეთოდური ნაშრომის ავტორი და ერთი მონოგრაფიის თანაავტორი. 2004 წლიდან არის სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტი. მისი დამსახურებები ქვეყნისა და ოლიმპიური მოძრაობის წინაშე აღინიშნა ვახტანგ გორგასალის II ხარისხის, ღირსების, სოკ-ის ორდენებით.

THE MAN WHO DEVOTED HIS LIFE TO SPORT

Jano (Jansugh) Bagrationi was born on April 4, 1938 in Tbilisi. In 1977 he graduated from the Institute of Physical Culture of Georgia. In 1962 Jano completed his studies at the department of light industry of Georgian Polytechnic Institute and continued work for the department. For eleven years he was associate professor and head of the department of physical culture of this institute.

Beginning 1983 Jano Bagrationi has worked as chair of Tbilisi sports committee. Since 1986 he has been first deputy chairman of Georgian sports committee, which was then renamed into sports and tourism ministry and finally formed as sports department. From 1994 he has been first-vice president of Georgian National Olympic Committee (GNOC) and was elected as GNOC president by the end of 1996. Thereby he combined two jobs. During the Olympic Games in Atlanta Bagrationi headed the Georgian delegation.

As a member of Tbilisi "Burevestnik" (Petrel) handball team he became a champion of the then USSR and multi-time prize-winner. Bagrationi is an honored master of sports and an honored coach of Georgia and the former USSR. He is author of 18 scientific works and co-author of a monograph. Since 2004 Bagrationi is honored president of GNOC. His great services to the homeland and Olympic movement have been rewarded with Order of Vakhtang Gorgasali, Order of Honor and orders of International Olympic Committee (IOC).

ანტიკური ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული სპორტი და კულტურა განუყოფელი მცნებებია. მაშინაც და ახლაც, ოლიმპიური თამაშებისას, იმართებოდა და იმართება ხელოვანთა კონკურსები. მაგრამ იყვნენ და არიან პიროვნებები, რომლებიც ერთმანეთს უთავსებენ სპორტსა და ხელოვნებას. ზოგ მათგანს ოლიმპიური თამაშების მედალიც მოუპოვებია და ხელოვანთა კონკურსისაც. ვინ იცის, იქნებ ამგვარი სიხარული ჯანო ბაგრატიონსაც განეცადა, მისი აქტიური სპორტსმენობისას ხელბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში რომ ყოფილიყო და იქვე სიმღერაშიც ჩაეტარებინათ კონკურსი. ყოველ შემთხვევაში, ჯანო ბაგრატიონს ხელბურთის მოედანზეც მრავლად დაუმსახურებია ტაში და სცენაზეც არაერთხელ უმღერია თავისი საყვარელი „ყვავილების ქვეყანა".

ასეა თუ ისე, ამ ორი სფეროს ჯამში საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გამორჩეული პრეზიდენტი ჰყავს. თუ ყოველივე ამას მის სამეცნიერო შრომებსაც მივათვლით, ჯანო ბაგრატიონი მსოფლიოს 200-მდე კოლეგასა და საერთაშორისო ოლიმპიური ორგანიზაციების მეთაურთა შორის იქნებ საერთოდ სწორუპოვარიც აღმოჩნდეს.

— არ ვიცი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სამარანჩი მღერის თუ არა, მაგრამ ეს საქმე ჩემი ცხოვრების ნაწილია, — გვეუბნება ჯანო ბაგრატიონი, რომლისთვისაც 1998 წელი განსაკუთრებული იყო. მაშინ, ზამთარში რომ დაიწყო, დიდხანს გრძელდებოდა სტუმრიანობა, მისვლა-მოსვლა, ტელეფონის ზარი და მილოცვები. მისალოცად კი, გიყვარდეთ, ნამდვილად ჰქონდა საქმე ჯანო ბაგრატიონს — ჯერ იყო და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „ღირსების ორდენით" დაჯილდოებას ულოცავდნენ, მერე 60-წლოვან იუბილეს, საერთაშორისო ოლიმპიური

Starting with ancient Olympic Games sport and culture are indivisible notions. Then and now the contests of artists have always accompanied Olympic Games. However, there were and there are the personalities who manage to successfully combine sports and art. Some of them even succeeded in winning awards at both Olympic Games and artists' competition. Why knows… may be Jano Bagrationi could have been among them, if handball was in the program of Olympic Games while he was an active sportsman and if a contest of singers was conducted simultaneously. Jano Bagrationi was deservedly applauded many times both at the handball arena and at the proscenium when sang his favorite song "Country of Flowers".

Whatever the case, Georgian National Olympic Committee has a distinguished president given Jano Bagrationi's achievements in sports and art. If add his scientific works to these talents Jano Bagrationi might be considered a really outstanding person among his 200 colleagues in the world and heads of Olympic organizations.

— "I don't know whether IOC President Juan Antonio Samaranch can sing, but for me singing is a part of my life," Jano Bagrationi says. 1998 was a special year for him. The long line of visitors, numerous telephone calls and congratulations began in that winter and continued for a long time. Jano Bagrationi had lots of reasons for receiving congratulations. First, President of Georgia decreed to award him Order of Honor, secondly, he received IOC order, thirdly, he celebrated his 60th anniversary, fourthly he was happy with the birth of the fourth grandchild and finally he was granted the title of Tbilisi freeman. These events were quite important and memorable in Jano Bagrationi's biography.

Said Jano Bagrationi, "Of course, this is really the case. Everything is very important for me. However,

თბილისი.
პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჯანო ბაგრატიონს ღირსების ორდენით აჯილდოებს

Tbilisi.
President Eduard Shevardnadze is awarding Jano Bagrationi with the Order of Honor

ჯანო ბაგრატიონი და აშშ-ის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი

Jano Bagrationi and the authorized ambassador of the USA in Georgia Richard Miles

თელავი. 1983 წელი.
მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს
შორის მსოფლიოს საჭადრაკო
გვირგვინისთვის ბრძოლის დღეებში
ჯანო ბაგრატიონმა და ფიდეს პრეზიდენტმა
ფილიპინელმა ფლორენსიო
კამპომანესმა საჭადრაკო დაფასთან
გაარკვიეს ურთიერთობა.

Telavi. 1983.
In the days of the contest between Maia Chiburdanidze and Nana Ioseliani for the crown of world champion in chess Jano Bagrationi and FIDE President Florencio Campomanes settled relations at the chess-board.

კომიტეტის ორდენის მიკუთვნებას, მეოთხე შვილიშვილის შეძენას და ბოლოს უკვე თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევას.

ეს ყველაფერი ფრიად მნიშვნელოვანი და ღირსსახსოვარია ჯანო ბაგრატიონის ბიოგრაფიაში.

„რა თქმა უნდა, ასეა, — გვიდასტურებს მაშინდელი იუბილარი და ორგზის ორდენოსანი. — ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, მაგრამ სამოცისა რომ გავხდი, სულაც არ გამხარებია. თუმცა ეს ამბავი მეგობრებისა და ახლობლების წრეში, მგონი კარგად აღვნიშნე და ვიზეიმე. უამისობა არ იქნებოდა. იქ, ალბათ, ძალზე გახარებული და ბედნიერი ვჩანდი, მაგრამ 60 წელი იმის მაჩვენებელია, რომ ნელ-ნელა დაღმასვლას ვიწყებ. ეხუმრობ, ცხადია, მაგრამ ეგრეა: ამით გახარება მაინც არ შემიძლია. 60 წელი, ცოტა არ იყოს, უსიამო გუნებაზე მაყენებს.

აი, ოლიმპიური ორდენით დაჯილდოების გადაწყვეტილებამ კი, რაღა დაგიმალოთ, ძალზე გამახარა. ეს ორდენი ხომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდოა. ოლიმპიურ ორდენოსანთა შორის არიან ათლეტები, პრემიერ-მინისტრები, საზოგადო მოღვაწენი. ასეთ საზოგადოებაში, ამგვარად დაფასებულ პიროვნებათა კომპანიაში მოხვედრა ჩემთვის უდიდესი პატივია“.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ ჯანო ბაგრატიონი უფრო ახლოს გავაცნოთ მკითხველს. მასთან ჩვენი საუბრის თემა სამ ნაწილად დავყავით: ჯანო ბაგრატიონი სცენაზე, ჯანო ბაგრატიონი სარბიელზე, ჯანო ბაგრატიონი ხელმძღვანელ თანამდებობაზე. რა თქმა უნდა, ამ თემებს ექსპრესივით არ ჩავუშხუილეთ და აქეთ-იქითაც გადავუხვიეთ, რათა იქაც და აქაც ტკბილადმოსაგონარი ეპიზოდები გაგვეხსენებინა.

I was not happy at all when I had become 60 years old, although I lavishly celebrated the event with my friends and relatives and I probably looked very happy and joyful when sitting with them. 60 years age is a sign of a sluggish decrease. Of course, I'm joking but nevertheless this is the case. I can't feel myself happy. I'm getting into a slightly bad mood when realize that I'm 60 years old. I won't hide that reception of the Olympic Order made me really happy because this is the supreme award of IOC. Famous sportsmen/sportswomen, prime-ministers, public figures are bearers of this order. It's a greatest honor for me to be in the company of such outstanding persons."

Of course, all these achievements are more than enough reasons that our readers become more closely acquainted with Jano Bagrationi.

We divided our interview with him into three parts: Jano Bagrationi on the stage, Jano Bagrationi on sports arena and Jano Bagrationi at a chief executive position. Of course, we didn't pass these topics quickly like express and made some deviations to remember sweet and memorable events here and there.

My relations with sport began when I was a fifth-form boy. I started training in the basketball section of the Pioneers' Palace under the coaching of Tamar Gegelashvili. She was the first Georgian masters of sports in basketball and her trainees were very proud of this. Then I continued training with the outstanding basketball specialist and a great person Mikheil Kekelidze. I was doubtful about my success in this field because I was very skinny and that's why I switched over to handball. Former basketball players were the people who pioneered the development of handball in Georgia. The handball players of our generation were lucky indeed. Tbilisi "Burevestnik" was the first winner of the first

— სპორტთან ჩემი ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა მეხუთე კლასში ვიყავი. პიონერთა სასახლეში კალათბურთის სექცია იყო და იქ თამარ გეგელაშვილთან დავიწყე ვარჯიში. იგი კალათბურთში პირველი სპორტის ოსტატი იყო საქართველოში და ეს მის აღსაზრდელებს ძალზე გვეამაყებოდა. მერე კალათბურთის საუკეთესო სპეციალისტთან და დიდებულ პიროვნებასთან, მიხეილ კეკელიძესთან ვვარჯიშობდი, მაგრამ ისეთი გამხდარი ვიყავი, ვიფიქრე ამ საქმეში ბევრს ვერაფერს მივაღწევმეთქი. ამიტომ ხელბურთში გავაგრძელე ვარჯიში. საერთოდ, საქართველოში ამ საქმის პიონერები სწორედ ყოფილი კალათბურთელები ვიყავით. ჩვენი თაობის ხელბურთელები მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულები აღმოვჩნდით. საბჭოთა კავშირის პირველივე ჩემპიონატის ოქროს მედლები სწორედ თბილისის „ბურევესტნიკმა" მოიპოვა. როცა ჩვენი გუნდი ჩემპიონი გახდა, მე სკამზე ვიჯექი და ვტიროდი. ეს იყო უდიდესი სიხარულის ცრემლები, იმავდროულად — ჩემი მწუხარებისაც. იმ ჩემპიონატისთვის სამზადისში ისე დავშავდი, რომ საოპერაციო შევიქენი, ამიტომ თანაგუნდელებმა უჩემოდ მოიპოვეს ჩემპიონობა. არადა, გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრი ვიყავი. ამის მერე, 1964 წელს ჩემპიონებიც გავხდით, მერე ზედიზედ სამჯერ „ვერცხლი" მოვიპოვეთ, 1968 წლიდან კი მწვრთნელობა დავიწყე, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი სიხარული და გულის დაწყვეტაც იმ პირველ ჩემპიონატთანაა დაკავშირებული.

— *იქნებ ცოტა უცნაური კითხვაა, მაგრამ მაინც: რა არის თქვენთვის სპორტი?*

— სპორტი ჩემი ცხოვრების აზრია, მთელი ცხოვრება მას ვანაცვალე. ბავშვობიდან სპორტში ვარ. სპორტისთვის ზურგი არასოდეს შემიქცევია, თუმცა მრავალი წინადადება მქონდა: საქართველოს პოლი-

USSR championship in handball. When our team became a champion I was sitting on the bench and crying hard, but they were tears of both joy and bitterness. During the preparatory training for the championship I was injured so badly that underwent a surgery and my teammates won the championship without me despite I was a member of the main team. In 1964 our team became a champion again and afterwards won silver medals three times successively. From 1968 I began coaching. However, my first greatest joy and the first biggest embarrassment are connected with that first championship.

— *May be the question is slightly strange but nevertheless I would like to ask. What does sport mean for you?*

— Sport is the meaning of my life. I have devoted my whole life to sports. I have been in sports since my childhood and have never abandoned sport, despite many tempting offers. I graduated from the department of light industry of Georgian Polytechnic Institute. That was the money making profession and many people offered me to work in that industry as a puppet director allowing them to do business on my behalf and allowing me to engage in sports. Although I used to work in this field for five years I failed to accustom to this specialty because I was feeling that was not my business. As I told you I devoted my life to the business which was genuinely mine.

— *However, you are still devoted to your student-time keenness on variety art. What does song mean for you?*

— Song is my keenness indeed and it's my hobby. The family where I was brought up followed the tradition of great respect for choreography, singing and Georgian culture in general. And there was a little chance that I could not inherit something from such kind of fa-



თბილისი. 1996 წელი.
ჯანო ბაგრატიონი ქართული სპორტის ვარსკვლავებთან, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორებთან. მარცხნიდან: ვახტანგ ბალავაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ჯანო ბაგრატიონი და რობერტ შავლაყაძე.

Tbilisi. 1996.
Jano Bagrationi with Georgian sport stars, world and Olimpic champions and prize winners: Vachtang Balavadze, Nona Gaprindashvili and Robert Shavlakadze.

სიეტლი. 1997 წელი.
ჯანო ბაგრატიონი და ნბა-ს ვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი

Seattle. 1997.
Jano Bagrationi and NBA star Michael Jordan

ბარსელონა. 1992 წელი.
ჯანო ბაგრატიონი და ესპანეთის მეფე
ხუან კარლოსი

Barcelona. 1992.
Jano Bagrationi and King of Spain
Juan Carlos

ტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი დავამთავრე, ეს კი ისეთი დარგი იყო, იქ მოხვედრა ლამის სასწაულად აღიქმებოდა, რადგან ამგვარი პროფესია მეტად სარფიან და შემოსავლიანად ითვლებოდა. ბევრი პირდაპირ მეუბნებოდა, მოდი ჩვენთან იმუშავე, გინდ დირექტორად დაჯექი, გინდ მოადგილედ, საქმეს ჩვენ გავაკეთებთ, შენ კი გინდა ხელბურთს მიხედე, გინდ კალათბურთს, შენი მხოლოდ სახელი გვჭირდებაო. მართალია, სპეციალობით ხუთი წელი ვიმუშავე კათედრაზე, მაგრამ ის საქმე არ მიტაცებდა, მას ვერ შევისისხლხორცებდი და რაც შევისისხლხორცე, იმას, როგორც გითხარით, მთელი ცხოვრება ვანაცვალე.

— მაგრამ დღემდე ვერ ელევით თქვენს სტუდენტობისდროინდელ გატაცებას — ესტრადას. მაინც, რას ნიშნავს თქვენთვის სიმღერა?

— სიმღერა მართლაც ჩემი გატაცება, ჰობია, ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ქორეოგრაფიისადმი და სიმღერისადმი, საერთოდ ქართული კულტურისადმი დიდი პატივისცემის ტრადიცია იყო. ასეთი ოჯახიდან არ შეიძლებოდა მეც რაღაც არ გამომყოლოდა. მამაჩემი საკმაოდ ცნობილი ვოკალისტი და

mily. My father was a quite famous vocalist and was a People's Artist of the then USSR. He studied in conservatoire like my mother and they became acquainted with each other. My father's uncle was a famous performer of Georgian dances. My grandmother Olga Amirejibi was a talented singer. Thus, it was impossible that I could not inherit some of their values and characters.

The Bagrationi dynasty emblem bears lyre. Researchers explain this by two reasons the love of the Georgians to music and connection of the Bagrationi's origination with King David who as they say brilliantly played the lyre. Therefore, the reason for Jano Bagrationi's keenness on music and song becomes more than clear.

Memoirs… memoirs

The most exciting and sweet recollection associated with stage goes back to my student time when I was a first-year student and my friends tempted me to try my strength in singing. Composer Guram Bzvaneli created a song "Fear" particularly for student's artistic Olympiad and I fearlessly sang "Fear" song together with my friend Tsisana Khubalashvili. Then I found myself in the institute's pops orchestra and eventually singing has be-

სახალხო არტისტი გახლდათ. თავის დროზე კონსერვატორიაში სწავლობდა. დედაც იქ სწავლობდა და ჩემმა მშობლებმა ერთმანეთიც იქვე გაიცნეს. ბიძამისიც, გოგინა ბაგრატიონი ქართული ცეკვების ცნობილი შემსრულებელი იყო; ბებიაც — მამის დედა ოლღა ამირეჯიბი ძალიან კარგად მღეროდა. რასაც მე მათგან ვისმენდი, სულ რომ ყრუ ვყოფილიყავი, შეუძლებელი იყო, რაღაც არ გამომყოლოდა...

მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ბაგრატიონების დინასტიის გერბზე ჩანგია გამოსახული და რომ ამას მკვლევარები ხსნიან „ქართველთა სიყვარულით მუსიკისადმი და იმითაც, რომ ბაგრატიონები თავის წარმოშობას უკავშირებენ მეფე დავითს, რომელიც ქნარზე ბრწყინვალე დამკვრელად ითვლებოდა“, მაშინ ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება.

მოგონებები, მოგონებები...

— სცენასთან ჩემი ყველაზე ამაღელვებელი და ტკბილად გასახსენებელი მოგონება სტუდენტობისდროინდელია. მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელი სტუდენტი შემაგულიანეს, მოდი, სიმღერაში მოსინჯე შენი შესაძლებლობებიო. სტუდენტური ოლიმპიადისთვის გურამ ბზვანელმა სპეციალურად დაწერა „შიში“. ცისანა ხუბალაშვილთან ერთად „შიში“ უშიშრად ვიმღერე. მერე ინსტიტუტის ორკესტრშიც მოვხვდი. ასე გახდა სიმღერა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ეს საქმე ჩემი პროფესია არ არის და არც პრეტენზია მაქვს, თუმცა მიყვარს სუფრაზე სიმღერა, მეგობართა წრეში...

— როგორი მომღერალი დადგებოდა ჩემგან, ამ საქმეს რომ სერიოზულად გავყოლოდი? — კითხვას გვიბრუნებს ბატონი ჯანო და გვპასუხობს, ღმერთმა იცის! იქნებ ესტრადაზე ჩემთვის ესტვინათ კიდეც, მაგრამ ახლა, არაპროფესიონალის კვალობაზე ყურიც მაქვს და სმენაც. ასე რომ, სამარანჩს

ბაგრატიონთა დინასტიის გერბი

The emblem of the Bagration's dynasty

come a part of my life. But this is not my profession and I don't claim to be a professional singer. Nevertheless, I like to sing at a party in the circle of friends.

"What kind of singer could I become had I followed this profession seriously?" Jano is returning the question and answers it himself. "God knows… may be the audience will hiss me off at the stage. But now as amateur I have both ear and tone-hearing. I can't compete with Samaranch in finances but I can in singing," GNOC President concludes with a pleased smile upon his face.

Memoirs… memoirs

The period when Nugzar Endeladze headed Georgian Sport Committee is the most pleasantly memorable time for Jano Bagrationi as sports official.

Jano Bagrationi remembers, "That time I was his deputy. He was younger than I but was very experienced and smart in organizational work and it was a pleasure to work with him. Ramaz Goglidze was his predecessor. That was a special period in the history of Georgian sport. Let's remember Olympic Games in Seoul when 12 out of 16 Georgian entrants won medals, including 5 gold, 2 silver and 5 bronze. That was the period of as-

ჯანო ბაგრატიონი და მისი შვილიშვილი ჯანო ქურციკიძე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან, ზურაბ ქაცარავასთან, ემზარ ზენაიშვილთან და ლალი ზერეკიძესთან.

Jano Bagrationi with his grandchild Jano Khurtsikidze and Georgian Tennis Federation's leaders Zurab Khatsarava, Emzar Zenaishvili and Lali Zerekidze.

ფინანსურად ვერა, მაგრამ სიმღერაში კი შევეჯიბრები, — სიცილით ასკვნის სეოკ-ის პრეზიდენტი.

მოგონებები, მოგონებები...

ჯანო ბაგრატიონისთვის, როგორც სპორტის ფუნქციონერისთვის, ყველაზე საამოდ გასახსენებელი ყოფილა ის პერიოდი, როცა საქართველოს სპორტკომიტეტს ნუგზარ ენდელაძე თავმჯდომარეობდა.

— იმ დროს მისი მოადგილე ვიყავი, — იხსენებს ჯანო ბაგრატიონი. — ჩემზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ორგანიზაციულ მუშაობაში დიდი გამოცდილებით, საქმიანი თვისებებით გამოირჩეოდა და მასთან მუშაობა მეტად სასიამოვნო გახლდათ. მანამდე იყო რამაზ გოგლიძე. ის პერიოდი გამორჩეული იყო ქართული სპორტის ისტორიაში. გავიხსენოთ სეულის ოლიმპიური თამაშები, სადაც ჩვენი 16 სპორტსმენიდან თორმეტმა 12 მედალი მოიპოვა, მათ შორის 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოსი. მაშინ მართლაც დიდი აღმავლობის პერიოდი იდგა. მერე იყო ბარსელონის ოლიმპიური თამაშები, სადაც ჩვე-

cent in Georgian sport. Then Olympic Games in Barcelona came where the Georgian entrants won 3 gold and 5 bronze medals, which was not less important than our achievements in Seoul and exceeded it in some other dimensions. It was a happy day for me when I was elected GNOC president. That was a result of GNOC incumbent president Nona Gaprindashvili's courageous move. She nominated my candidacy and encouraged me to take part in the ballot. It's twice as much as responsible and honorable task to be GNOC president after Nona Gaprindashvili. I'm trying to justify her hopes by deepening and developing the traditions which he had established in GNOC.

When Jano Bagrationi was holding offices of GNOC president and first deputy chair of state department for sports simultaneously doubts arose whether he was able to handle both jobs successfully.

"The retorts addressed to me then didn't come from ill-wishers. They were said to my benefit, because aut-

ატლანტა. 1996 წელი.
ჯანო ბაგრატიონი და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი წლების განმავლობაში ერთად ეწეოდნენ ამ ორგანიზაციის ჭაპანს.

Atlanta. 1996.
Jano Bagrationi and Kakhi Asatiani, chair of state department of sports of Georgia, have jointly doing a hard work while managing this organization for years.

ნი ქვეყანა ნაწილობრივ დამოუკიდებელი წარსდგა. ამიტომ იქ მოპოვებული 3 ოქროსა და 5 ბრინჯაოს მედალი სეულის ნადავლზე ნაკლებმნიშვნელოვანი სულაც არ იყო, სხვა განზომილებით კი აჭარბებდა კიდეც. ჩემთვის ძალზე სასიხარულო იყო ის დღეც, როცა სეოკ-ის პრეზიდენტად ამირჩიეს. ეს განაპირობა ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის მართლაც ვაჟკაცურმა ნაბიჯმა, როცა თავის პოსტზე ჩემი კანდიდატურა წამოაყენა და არჩევნებში კენჭისყრისთვის შემაგულიანა. ნონა გაფრინდაშვილის მერე სეოკ-ის პრეზიდენტობა ერთიორად საპატიო და საპასუხისმგებლოა. ვცდილობ გავამართლო მისი იმედები, გავაგრძელო და გავაღრმავო ის ტრადიციები, რომლებიც მან სეოკ-ში დაგვიტოვა...

მაშინ, როცა ჯანო ბაგრატიონმა სეოკ-ის პრეზიდენტობა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტი შეითავსა, იყო ეჭვები, თავს გაართმევდა თუ ვერა ორივე თანამდებობას.

hors of the retorts were feeling that it would be difficult for me to combine two jobs. Then I thought that I was not the man who is unable to assess his own abilities reasonably to make right decision at the right time. My rich sport background was behind my attitude that time. It included careers of sportsman, coach and sport manager at various leading positions. I was GNOC vice-president and believed that I knew a lot in sport. However, after election to GNOC president I saw from different angle what is called Olympic Movement and discovered many new aspects. I found that Olympic movement bears far more important role and mission and Olympic Committee is so important that even one chief is not sufficient to manage it properly. I was made sure of the need of more propaganda and education for Olympism ideas, because many sport managers could not comprehend gist of the Olympic movement letting alone the population. That's why I considered combining of two jobs inappropriate and exceeding my capabilities. Thus

— მაშინ ეს რეპლიკები არაკეთილმოსურნეობით როდი იყო განპირობებული, პირიქით, ჩემს სასიკეთოდ იყო ნათქვამი. მთქმელნი გრძნობდნენ, რომ ორგან საქმიანობა გამიჭირდებოდა. მაშინ ვფიქრობდი, ის კაცი არა ვარ, ეს ყველაფერი არ გამეანალიზებინა და ვერ შემეფასებინა ჩემი შესაძლებლობები, რათა საჭირო დროს საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად მზად ვყოფილიყავი. ჩემს იმჟამინდელ აზრს ზურგს ისიც უმაგრებდა, რომ მთელი ცხოვრება სპორტში გავატარე, ვიყავი აქტიური სპორტსმენიც, მწვრთნელიც, ვმუშაობდი სპორტის ფუნქციონერად, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ვიყავი სეოკ-ის ვიცე პრეზიდენტი, მეგონა სპორტში ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ...სეოკ-ის პრეზიდენტად არჩევის მერე სულ სხვაგვარად დავინახე ის, რასაც ოლიმპიური მოძრაობა ჰქვია. აქ ბევრი რამ ახალი აღმოვაჩინე, ოლიმპიზმს თურმე გაცილებით მეტი როლი და გაცილებით მნიშვნელოვანი მისია აკისრია. ოლიმპიური კომიტეტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აქ, მგონი, როგორც ხელმძღვანელი, ერთი კაცი საკმარისი არ არის. იმაშიც დავრწმუნდი, რომ ოლიმპიზმს მეტი აგიტაცია და პროპაგანდა სჭირდება, რადგან არათუ მოსახლეობა, ბევრი სპორტის მუშაკიც ვერ ჩასწვდა ოლიმპიური მოძრაობის არსს. ამიტომაც ჩავთვალე მიუღებლად ორი დიდი საქმის შეთავსება, მითუმეტეს, რომ დავრწმუნდი, ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა. სწორედ ამან მიმაღებინა გადაწყვეტილება სეოკ-ის პრეზიდენტის სავარძლის სასარგებლოდ.

სხვათა შორის, როცა დეპარტამენტში ვიყავი, ნიადაგ ვგრძნობდი, რომ სეოკ-ს ვაკლდი, როცა აქ ვიყავი, მაშინ მეჩვენებოდა, რომ დეპარტამენტში ჩემი არყოფნით საქმე ფუჭდებოდა. ასეც არ იყოს, კაცი 60 წლის გავხდი და ამ სირბილშიც დავიღალე, მთელი ცხოვრება დავრბივარ და ახლა დინჯად

I decided to keep the job of GNOC president only," Bagrationi said.

By the way, while working for sports department simultaneously I was constantly feeling that I could not do the full amount of work for GNOC. When I was in GNOC it seemed to me that something wrong was happening in sports department in my absence. My 60 year age was another factor and was getting increasingly tired with constant movement back and forth between GNOC and sports department. Then I decided to focus on the single and important task - Olympic movement, which requires huge efforts.

— *We have just talked about combining two jobs and therefore occupying two chairs. What does a chair of official mean for you? Even though one chair...*

I have never striven for chair as a mean for well-being. When I was a player I began coaching and trained girls. Then rector of Polytechnic Institute Archil Dzidziguri offered me a job in the Institute's department where I worked for 11 years and became associate professor. The affairs themselves urged me to move to the other field. Then I became chair of Tbilisi sports committee and afterwards deputy chairman of Georgian committee for sports. I have never fought to occupy a chair and never resorted to any gerrymander for this. I drifted with the current regardless of whether I wanted it or not. I participated in the election of GNOC president according to incumbent president Nona Gaprindashvili's will when she voluntarily resigned and vacated the position. She supported my candidacy and asked others to do the same.

— *Were there any disappointments in your activity?*

Of course, I found myself disappointed several times and many times for the last eight years I was close to decision to quit my job in sports and go. It was difficult to endure that hard time. However, when I began to think

პირველ სურათზე აღბეჭდილი
ჯანო ბაგრატიონი
(ზედა რიგში მარცხნიდან მეექვსე)
მეორე კლასის მოსწავლეა;
მეორე ფოტოზე კი ისინი
სამოცი წლისანი არიან;
მესამე სურათზე ჯანო ბაგრატიონი ასევე
თანაკლასელებთან ალექსანდრე (შურა)
მღებრიშვილთან და შოთა ფარცხაგასთან
ერთადაა აღბეჭდილი.

Jano Bagration with his classmates.

ჯანო ბაგრატიონი და აზერბაიჯანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ილჰამ ალიევი

Jano Bagrationi and Azerbaijanian President of Azerbaijani National Olympic Committee Ilham Aliev

თბილისი. 1995 წელი.
ქართველ ოლიმპიელთა ამერიკელი მეგობარი ნორმა ჰესინგერი, ჯანო ბაგრატიონი, ევროპის ეოკ-თა ასოციაციის პრეზიდენტი ჟაკ როგი, ნონა გაფრინდაშვილი, სეოკ-ის თანამშრომელი რუსუდან აფციაური და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი

Tbilisi. 1995.
American friend of Georgian Olympians Norma Hessinger, Jano Bagrationi, President of European National Olympic Committees Jacques Rogge, Nona Gaprindashvili, GNOC officer Rusudan Aptsiauri and Georgia's Foreign Minister Irakli Menagarishvili

და მშვიდად მივხედავ ერთ ძალზე მნიშვნელოვან და საჭირო საქმეს, რასაც ოლიმპიზმი და ოლიმპიური მოძრაობა ჰქვია და დიდ ძალისხმევასაც მოითხოვს.

— *ზემოთ ორ სკამზე ვსაუბრობდით. თქვენთვის სკამი რას ნიშნავს, თუნდაც ერთი?*

— სკამისთვის თავი არასოდეს მომიკლავს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვთამაშობდი, მწვრთნელობას მოვკიდე ხელი, გოგონებს ვავარჯიშებდი. მერე პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა არჩილ ძიძიგურმა კათედრაზე მუშაობა შემომთავაზა. 11 წელი ვიმუშავე, იქვე გავხდი დოცენტი... საქმემ თვითონ მკრა ხელი. მერე ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სკამისთვის არასოდეს მიჭიდავია და როგორც იტყვიან, არ მიჩალიჩია. დინებას როგორლაც ჩემგან დამოუკიდებლად მივყევი. აქაც, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის ნებით ვიყარე კენჭი, როცა ამ პოსტზე თავად თქვა უარი. მან მხარი დამიჭირა და სხვებსაც იგივე სთხოვა.

— *თქვენს საქმიანობაში არასოდეს გაწბილებულხართ?*

— რა თქმა უნდა, მქონდა ასეთი მომენტები. ბევრჯერ მიფიქრია, მორჩა, წავალ სპორტიდან-მეთქი, თუნდაც ამ ბოლო რვა წლის განმავლობაში. განა შეიძლება ამ პერიოდის გაძლება, მაგრამ როცა ღრმად ჩავფიქრებულვარ, მივმხვდარვარ, რომ ჩემი წასვლა აბსურდი იქნებოდა. რაღა დროს ჩემი სპეციალობის შეცვლაა, რაღა დროს აზრის და, რაც მთავარია, რაღა დროს ცხოვრების მიზნის შეცვლაა. ჩემი მიზანი სპორტში ყოფნაა და, მანამ პირში სული მიდგას, სპორტისთვის სასარგებლო საქმის კეთებაა. თუ როგორ გამომდის ეს საქმე, ამას ხალხი შეაფასებს, ის ხალხი, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს.

of things profoundly I understood that my resignation would have been unwise step. It's too late for me to change my specialty and goal of my life. My goal is to stay in sport and work for the welfare of sport until I'm alive. People with whom I interact must evaluate how well I handle my job.

His job was evaluated deservedly by the Order of Honor and "Olympic Order."

It was in 1998. But Jano Bagrationi's portrait will miss an important feature if we don't remember a story told by his friend Omar Gogiashvili, professor and rector of Georgian Sports Academy. Said Gogiashvili, "The important aspect, which I want to emphasize in Jano Bagrationi's personal features is that he very supportive and surprisingly attentive person. He never missed birthdays, weddings and funerals of friends and relatives. Despite his very busy schedule he always managed to find time come to several places during the day for a short time to express his respect and love to everybody and everywhere. Even after a partial recovery from an acute stroke he is still trying to follow this mode of life. That's why he enjoys great respect as from friends and relatives so from strangers. Jano Bagrationi is always ready to help, give recommendation or solicit any person, and this person might be a relative or stranger. He can trouble any person for the problems of others and I was eye-witness of this several times and I particularly appreciate his feature of his character. I want to remember one story. Several persons visited Jano in connection with sport-related issue and asked him to be a solicitor to a certain person. Bagrationi became slightly confused and said that he didn't know that person. The requesters stated wonderingly that Jano was a widely known figure and even if he didn't know that person, the latter should know him and most likely would not say NO to Jano's request. They made Jano to call that person by the direct governmental telephone line. Jano res-

და შეაფასებს კიდეც — „ღირსების ორდენით“, „ოლიმპიური ორდენით“...

ეს იყო 1998 წელს, მაგრამ ჯანო ბაგრატიონის პორტრეტს ალბათ მსუყე შტრიხი დააკლდება, თუ არ გავიხსენეთ მისი ერთ-ერთი მეგობრის, საქართველოს სპორტის აკადემიის რექტორის, პროფესორ ომარ გოგიაშვილის ნაამბობი:

„ბატონი ჯანოს პიროვნული თვისებებიდან მინდა გამოვყო ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, — ამბობს ომარ გოგიაშვილი. — იგი საოცრად ყურადღებიანი და მხარში მდგომი კაცია. როცა ფიზიკური შესაძლებლობა ჰქონდა, არ იყო არცერთი პანაშვიდი, გასვენება, ქორწილი, დაბადების დღე, რომ ბატონი ჯანო მას გამოკლებოდა და ნახევარი საათით მაინც არ გამოჩენილიყო. როგორი დაკავებულიც არ უნდა ყოფილიყო, ხანდახან დღეში რამდენიმეგან შეირბენდა და ყველგან თავის პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდა. იგივეს ცდილობს ახლაც, როცა ინსულტი გადაიტანა და ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის. ამიტომაც მას დიდ პატივს სცემდნენ ახლობლები, მეგობრები, ნაცნობები თუ უცნობები.

ჯანო ბაგრატიონი მუდამ მზად არის დაეხმაროს ნებისმიერ კაცს. მისცეს მას რეკომენდაცია და უშუამდგომლოს. ეს შეიძლება იყოს ახლობელი, შორეული და უცნობიც. მას შეუძლია სხვისი გაჭირვების გამო ნებისმიერი კაცი შეაწუხოს. ამის მოწმე არაერთხელ ვყოფილვარ და მის ასეთ ხასიათს განსაკუთრებით ვაფასებ. ასეთი ამბავი მახსენდება: სპორტთან დაკავშირებით რამდენიმე კაცი შემოვიდა და ბატონო ჯანო, ამა და ამ საქმეზე ესა და ეს კაცი უნდა შეაწუხოო. ბაგრატიონი უხერხულად შეიშმუშნა, კი მაგრამ, მაგ კაცს არ ვიცნობო. ამაზე მთხოვნელებმა შეიცხადეს, თქვენ თუ არ იცნობთ, ის ხომ გიცნობთ, თქვენ ყველა გიცნობთ და

trictively communicated that person the visitors' request and only by the end of the conversation reminded that Jano Bagrationi was calling. As soon as Jano said this everybody in the room heard through the telephone receiver how that person was bucked up. He apologized for not giving due attention to Jano at the yesterday party because of leaving early and promised to give any possible assistance to any person who would come to him on Jano Bagrationi's behalf. After the telephone conversation the requesters told Jano how right they were when told him that nobody would object him because of his widely known personality.

Indeed, Jano Bagrationi enjoyed extremely high popularity and he is far-famed nowadays. His popularity was determined by his sport achievements, keenness on music, his family and a wide circle of friends. That's why Jano Bagrationi is Jano Bagrationi.

In spring of 2003 I visited Jano Bagrationi again. This time I interviewed him in connection with his 65th anniversary jubilee date.

— Now when you are celebrating your 65th birthday and probably remember your course of life, don't you think that you are a favorite of fortune? During the whole life you were doing what you enjoyed to do and you were employed in your most favorable field. You used to be a famous sportsman, champion of USSR, soloist of the band of Georgian Polytechnic Institute, associate professor to the same institute, deputy minister of sport and tourism, now president of GNOC and a member of Georgian parliament. You easily made yourself a good career. Don't you think that your patrician family name helped you somewhat? Although, it's well-known that nobilities in the communist era were under cruel reprisals and restrictions.

— Once I told you that I have never fought for obtaining a chair of high-ranking official and business itself

მარჯვნიდან: ჯანო ბაგრატიონი, მარი ჰელენ რუხაძე, ჟაკ როგი მეუღლესთან ერთად და ხუან ანტონიო სამარანჩი

On the right: Jano Bagrationi, Mari Helen Rukhadze, Jackues Rogge with his wife and Juan Antonio Samaranch

უარს არავინ გეტყვითო. მთავრობის ტელეფონით დაარეკინეს. მორიდებით ეუბნებოდა ამა და ამ საკითხზე გაწუხებთო, ბოლოს კი უთხრა, ჯანო ვარ, ბაგრატიონიო. და ამ დროს უცებ ტელეფონიდან იმ კაცის გამოცოცხლება ყველამ გავიგონეთ, ბატონო ჯანო, ბოდიში, გუშინ სუფრის მიტოვება ნაადრევად რომ მომიწია და ისე ვერ მოგეფერეთ, როგორც ეს თქვენ გეკადრებათ. თქვენი სახელით კი ვინც ჩემთან მოვა, ყოველმხრივ დავეხმარებიო. სატელეფონო საუბრის მერე მთხოვნელები ჯანო ბაგრატიონს ეუბნებოდნენ, აი, ხომ გეუბნებოდით, რომ თქვენ ყველა გიცნობთ და უარს არავინ არაფერზე გეტყვითო.

მართლაც, ჯანო ბაგრატიონი იმთავითვე უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ახლაც სარგებლობს. მის პოპულარობას განაპირობებდა მისი სპორტული მიღწევები, მუსიკალური გატაცება, ოჯახური წრე, დიდი სამეგობრო"...

ამიტომაც იყო, ჯანო ბაგრატიონს, მასსავით უაღრესად პოპულარულმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ექსპრომტად რომ მიუძღვნა:

had pushed me forward. It happened that I was really very popular early in life and I can't complain of fortune now. I didn't encounter any big resistance in any sphere and nobody put obstacles on my way. I was allowed to travel abroad without any problems.

My father was also surprised by this and suspected me of connections with KGB. He once told my mother about it. That time representatives of noble families were persecuted indeed. My father used to encounter resistance always and everywhere, including choreography and jazz. In 1938, during the terrible reprisals, when I was only several months old, my father was going to travel to the international folklore festival in England as a member of 16-strong delegation. Early in the morning when he arrived at the airport somebody unexpectedly read out the travelers' list right at the ladder. My father was the sole person whose name was left out of those sixteen. I remember the time when my father was missing for several days and one can imagine our anxiety and nervousness. When he was coming back his face was expressing torment, grief and trouble. That time

შენ ხარ ჯიგარი, შენ ხარ აშული:
ჩვენი ქართული სპორტის შველა ხარ,
ჩემზე მაღალი, ნაღდი ჯანსუღი,
ბაგრატიონო ჯანსუღ, შენა ხარ!

ამ სალაღობო სტრიქონების მერე მახსენდება თავად ჯანო ბაგრატიონის სალაღობო თავგადასავალიც, რომელიც სპორტის კაცის პორტრეტული შტრიხების შესავსებად უმნიშვნელოდ არ მეჩვენება...

„ასეთი კურიოზული ამბავი შემემთხვა, — იხსენებს ჯანო ბაგრატიონი. — მაშინ ახალი გამოყვანილი მყავდა „მოსკვიჩი". რიგიანად ვერც მოვასწარი მართვის სწავლა და ახალი წელიც მოვიდა. მეუღლესთან ერთად სტუმრად წავედი, მანქანა კი შინ დავტოვე. დაბრუნებისას დავიტანჯეთ. ღამის 10-11 საათი იყო, ქუჩები — მოყინული. მანქანები კანტიკუნტად დადიოდნენ და არავინ გვიჩერებდა. ძლივს მივაღწიეთ სახლამდე. თან ვფიქრობდი, განა ეს საქმეა, მანქანა სახლში მეყენოს, მე კი ფეხით დავდიოდე და ეს დაგვიანებული ბავშვიანი მგზავრები და მოხუცებიც იტანჯებოდნენ-მეთქი. სახლთან რომ მივედი, ცოლს ვუთხარი, ადი და მეც ამოვალ-მეთქი, მაგრამ დავქოქე მანქანა და გაჭირვებული ხალხის დასახმარებლად ნასვამი გამოვედი პავლოვის ქუჩაზე.

ვხედავ, სამი გოგონა და ერთი ბიჭი ხელს მიწევენ. გავაჩერე, მობრძანდით, დაბრძანდით-მეთქი. პუშკინის ინსტიტუტთან მიმაყვანინეს თავი. ჯერ გოგონები გადავიდნენ, ბიჭმა კი ჯიბეებში ქექვა დაიწყო. ხელი მოვკიდე და ვეუბნები, არ გინდა არაფერი, ფული არ შემომაძლიოთ-მეთქი, იმან კი ლამის ხელი შემომკრა, ვინ არის შენი მათხოვარიო, რკინის მანეთიანი შემომიგდო და გავარდა.

გავიარე რამდენიმე მეტრი და ახლა მოხუცი ქალი მაჩერებს. სადღაც ავლაბარში, დოლაბაურის ქუჩაზე წამაყვანინა თავი. რაკი გამოცდილება უკვე მიღებული მქონდა, წინასწარ გავაფრთხილე,

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამი ორდენოსანი: ნონა გაფრინდაშვილი, ედუარდ შევარდნაძე და ჯანო ბაგრატიონი

Three order-owner of International Olympic comittee: Nona Gaprindashvili, Eduard Shevardnadze and Jano Bagrationi

თბილისი. 1994 წელი.
ევროპის ეოკ-თა პრეზიდენტი ჟაკ როგი და ჯანო ბაგრატიონი

Tbilisi. 1994.
Jacques Rogge and Jano Bagrationi

ჯანო ბაგრატიონი
ოლიმპიურ თემატიკაზე
ნორჩ მხატვართა გამოფენაზე

Jano Bagrationi with the young painters on the Olimpic Festival's days

ფული არ შემომაძლიოთ, უბრალოდ პატივი მინდა გცეთ-მეთქი. სახლთან რომ მივედით, ჩემს მგზავრს თავისიანები დახვდნენ და, რომ გაიგეს, ფულს არ ვიღებდი, მომკიდეს ხელი და ძალით გადამიყვანეს, ოჯახში შემიყვანეს, ერთი-ორი ჭიქა იქაც დავლიე და ღვინო უფრო მომეკიდა.

გზაში კიდევ ერთმა ბავშვიანმა, უშველებელმა ქალმა გამაჩერა, პეტრიაშვილზე მიმიყვანეო. იმ ქუჩის ასახვევთან რომ მივედი, ვხედავ აღმართი მთლიანად მოყინულია. მანქანის ტარება რიგიანად არ ვიცი, თანაც მთვრალი ვარ, მაგრამ იმდენს კი ვხვდები, რომ იქ ამსვლელი არა ვარ. ამიტომ იმ ქალსაც ამას ვეუბნები, იმან კი ერთი ამბავი დამაწია, რას ჰქვია ვერ ახვალ, მე შენ გაგაჩერე, ფულს გიხდი და სადაც გეტყვი, ბოლომდე უნდა მიმიყვანოო. ვეუბნები, ქალბატონო, არ მინდა თქვენი ფული, უბრალოდ პატივისცემა მინდოდა-მეთქი, მაგრამ გავჯიქდა ის უშველებელი ქალი და მეც გადავირიე"...

ეს ამბავი იმიტომაც გავიხსენე, რომ ცხადლივ წარმოაჩენს ბაგრატიონის ხასიათს, მის პიროვნებას.

ამიტომაცაა ჯანო ბაგრატიონი ჯანო ბაგრატიონი.

ამ საუბრიდან ხუთი წლის შემდეგ, 2003 წლის გაზაფხულზეც ვეწვიე ჯანო ბაგრატიონს და

KGB had special flats where they used to summon people for interrogation, blackmail or recruiting.

My father was waiting for a flat for a very long time and finally he got it in Saburtalo (district of Tbilisi) at the very end of Pavlov street which made my father to joke that he felt as if he lived in Khashuri(a town in western Georgia). In 1974 when be became 64 we celebrated his 60th anniversary. Nevertheless, we must be happy that he avoided execution in "those times." Perhaps my father's origination from the Bagrationi royal family played a certain role in his survival.

— *At one of the meetings with Georgian Olympians President Eduard Shevardnadze called you future king of Georgia half in jest. Letting alone this remark it's interesting to know your family-tree.*

— In the second half of 15th century the united Georgian state broke to smaller princedoms and kingdoms. The last king of Georgia Giorgi the 8th (1446-1476) moved to Kakheti (eastern Georgia) obtained a foothold in that region and gave origin to the Kakhetian branch of the Bagrationi family.

King Giorgi reigned here for 10 years and after his death in 1476 his son Alexander ascended the throne. He had two sons Giorgi and Demetre. Alexander was adhe-

ამჯერად უკვე მისი 65 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვესაუბრე.

— ბატონო ჯანო, ახლა, როცა 65 წლის საიუბილეო თარიღიც დაგიდგათ და განვლილ ცხოვრებას იხსენებთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ბედის ნებიერა ხართ? თქვენ ხომ მთელი ცხოვრება იმას აკეთებდით და იმ სფეროში მოღვაწეობდით, რომელიც ყველაზე მეტ სიამოვნებას განიჭებდათ. იყავით ცნობილი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრის სოლისტი, იმავე ინსტიტუტის დოცენტი, სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე, ახლა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი... თანაც კარიერა როგორღაც თავისთავად და იოლად გამოგივიდათ. როგორ ფიქრობთ, ამაში გარკვეულწილად გვარიშვილობაც ხომ არ გეხმარებოდათ? თუმცა, ისიც ცნობილია, რომ კომუნისტურ ხანაში დიდგვაროვანთ სდევნიდნენ, ავიწროებდნენ და თავს სასტიკ რეპრესიებსაც ატეხდნენ.

— ერთხელ გითხარით, სკამისთვის თავი არასოდეს მომიკლავს და საქმემ თვითონ მკრა-მეთქი ხელი. ისე მოხდა, რომ ახალგაზრდობაში მართლაც ძალიან პოპულარული ვიყავი და ბედს არც ახლა ვუჩივი. წინააღმდეგობას არსად, არც ერთ სფეროში არ წავწყდომივარ და გზის გადაღობვაც არ უცდიათ. უცხოეთში უპრობლემოდ მიშვებდნენ.

სხვათა შორის, ეს ყოველივე მამაჩემსაც უკვირდა. დედას ისიც კი უთხრა, ეს ჩვენი ბიჭი ნეტა კაგებესთან ხომ არ არის შეკრულიო. არადა, იმ დროს დიდგვაროვანთ მართლაც სდევნიდნენ. მამაჩემს ყველგან და ყოველთვის დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა. ასე იყო ქორეოგრაფიაშიც, ჯაზშიც და საერთოდ, ცხოვრებაში. 1938 წელს, იმ საშინელი რეპრესიებისას, მე რომ რამდენიმე თვისა ვიყავი, მამა

თბილისი. 1997 წელი.
ძმები გიორგი და ჯანო ბაგრატიონები სიონში ბაგრატოვანთა დროშის კურთხევისას

Tbilisi. 1997.
The brothers Giorgi and Jano Bagrationis in Sioni church during the blessing of the Bagrationi's dynasty banner

16-კაციანი დელეგაციის შემადგენლობაში ინგლისში, საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე უნდა გამგზავრებულიყო. იმ დღეს უთენია მივიდა აეროპორტში, იქ კი, ტრაპთან მოულოდნელად წამსვლელთა სია წაიკითხეს. იმ თექვსმეტიდან მხოლოდ ერთი გამოტოვეს. ის ერთი მამაჩემი იყო. ისეთი დროც მახსოვს, როცა მამა რამდენიმე დღე შინ არ გამოჩენილა. წარმოიდგინეთ იმ დროს ჩვენი ნერვიულობა, გულისხეთქვა. მერე დაბრუნებულს სახეზე დიდი ტანჯვა, დარდი და მწუხარება ეწერა. მაშინ კაგებეს სპეციალური ბინები ჰქონდა, სადაც ხალხს იბარებდნენ. ზოგს დაკითხვებს, ზოგს კი შანტაჟს უწყობდნენ, ზოგსაც თავისკენ იბირებდნენ.

მამა მთელი ცხოვრება ბინას ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, აღირსეს. საბურთალოზე, პავლოვის ქუჩის ბოლოში მივიღეთ ბინა. იმის იქით აღარაფერი იყო და ამიტომ მამა ხუმრობდა, ხაშურში ვცხოვრობო. მერე იყო და, 1974 წელს სამოცდაოთხისა რომ იყო... სამოცი წლის იუბილე გადაუხადეს, მაგრამ ყოველივე ამას ვინ ჩივის. კმაყოფილები უნდა ვიყოთ, რომ „თავის დროზე" საერთოდ არ დახვრიტეს. ეტყობა, ბაგრატიონობის გამო მაინც რაღაც რიდი ჰქონდათ.

- ოლიმპიელებთან ერთ-ერთი შეხვედრისას ედუარდ შევარდნაძემ ნახევრად ხუმრობით თქვენ საქართველოს მომავალი მეფე გიწოდათ. ეგეც არ იყოს, საინტერესოა თქვენი გენეალოგია.

— მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მისი ბოლო მეფე გიორგი VIII (1446-1466 წწ) კახეთში გადავიდა, იქ დამკვიდრდა და სათავე დაუდო ბაგრატიონთა კახეთის შტოს.

გიორგი აქ 10 წელიწადს მეფობდა და მისი გარდაცვალების შემდეგ (1476 წ) კახეთში მისი ვაჟი — ალექსანდრე გამეფდა. მას ორი ვაჟი — გიორგი და დიმიტრი (დემეტრე) ჰყავდა.

თბილისი. 1997 წელი.
ბაგრატოვანთა დროშის აღმართვა ნარიყალაზე

Tbilisi. 1997.
rising of the Bagrationis banner on Narikala

1998 წელს გერმანელებმა ჯანო ბაგრატიონი და კინორეჟისორი ელდარ შენგელაია თბილისში წმინდა გიორგის ორდენის კავალრებად აკურთხეს, რომლებიც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მიიღო

In 1998 in Tbilisi the Germans inaugurated Jano Bagrationi and filmmaker Eldar Shengelaya as knights of St. George Order. They were received by the Leader of Georgian Orthodox Church, Patriarch of all Georgia his Holly Sin Ilya the Second

ალექსანდრე ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრე იყო და ამაში მხარს ვაჟი — დიმიტრიც უჭერდა.

გიორგი, რომელსაც მხარს კახეთის ფეოდალებიც უჭერდნენ, ქართლის სამეფოს შემოერთების მომხრე იყო. და რაკი დარწმუნდა, რომ მამისა და ძმისთვის ეს მიუღებელი იყო, 1511 წელს მამა სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო ძმას თვალები დასწვა. ამის გამო იგი ისტორიაში „ავგიორგის“ სახელით შევიდა. დიმიტრის კახეთში აღარ დაედგომებოდა და ოჯახიანად ქართლში გადმოსახლდა. აქ დამკვიდრდა, დირბში ციხეც ააგო. ბაგრატიონთა ამ განშტოებას „თვალდამწვრიანები“ ეწოდა, ხოლო უფრო მოგვიანებით, დიმიტრის ვაჟის — დავითისაგან ისინი დავითიშვილებად იწოდებოდნენ ანუ როგორც ისტორიკოსი ამბობს — „გაუგვარდათ ამა სახელისა გამო“.

ჩვენი უშუალო წინაპრები ამჟამინდელი ქარელის რაიონის სოფელ აბანოში სახლობდნენ. პა-

rent to peaceful policy to Kartli (another region of eastern Georgia) and his son Demetre supported him in this endeavor. However, Giorgi who enjoyed support of Kakheti feudals strove for incorporation of Kartli kingdom. When he was assured that this policy was unacceptable for his father and brother he killed father in 1511 and disabled brother by burning out his eyes. For this reason he entered the history under the nickname "Giorgi the Evil." Demetre could not stay in Kakheti any longer and he moved to Kartli together with his family, accommodated there and even built a fortress in Dirbi. This branch of the Bagrationi's family tree was called the people with "scorched eyes." Later on, Demetre's son Davit called them the Davitishvilis. Our direct ancestors used to reside in Abano village of the current Kareli district. Father of our grand-grand father Nikoloz had four sons Alexander (Sandro), Giorgi (Gogina), Konstantine and Archil.

— *Have you ever thought about becoming a king or dreamt about it in your childhood?*

პაჩვენის მამას, ნიკოლოზს, ოთხი შვილი, ოთხივე ვაჟი ჰყავდა: — ალექსანდრე (სანდრო), გიორგი (გოგინა), კონსტანტინე და არჩილი.

— თქვენ თვითონ მეფობაზე არ გიფიქრიათ, ან ბავშვობაში მაინც არ გიოცნებიათ?

— ბავშვობაში ნამდვილად არ მიოცნებია, ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიხსენებ. მეფობაზე არც ყმაწვილკაცობაში და არც მერე არ მიფიქრია. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მერე მეგობრები მეხუმრებიან, აი, დამოუკიდებელი საქართველო, აი, ტახტი, დაჯექი და იმეფეო, ჩვენ კი შენი ნაზირ-ვეზირები ვიქნებითო. ისე კი, შინაგანად მონარქისტი ვარ. თუ ოდესმე საქართველოში მონარქისტული წყობა აღსდგება, ეს, ალბათ, უფრო სიმბოლური მნიშვნელობის იქნება. საამისოდ შესაფერისი დრო და პირობები უნდა მომწიფდეს, მერე სიმბოლური მეფე იტალიიდან და ესპანეთიდან კი არ უნდა ჩამოვიყვანოთ, არამედ საქართველოშიც არიან ნიჭიერი, განათლებული, ზრდილი ახალგაზრდა ბაგრატიონები, რომლებსაც ყოველმხრივ ეკუთვნით ეს ტიტული.

სხვათა შორის, ბაგრატოვანთა სახლი შევქმენით. მას ნინუკა ბაგრატიონი ხელმძღვანელობს, მე კი მოადგილე ვარ. მასში ასამდე ბაგრატიონი გაერთიანდით. ჩვენი მიზანი ამ სახლის გვარის, მისი სახელის პოპულარიზაციაა. ბოლოს და ბოლოს, ბაგრატიონებივით ათსაუკუნოვანი მეფობის ისტორიით სხვა ვინ მოიწონებს თავს?

— თქვენს საოჯახო ალბომში ერთ-ერთი საინტერესო ფოტოა — ესპანეთის მეფე ხუან კარლოსთან გადაღებული. მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს მისი გადაღების ისტორია.

— მაშინ, 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ჩოგბურთელთა ტურნირზე ვიყავი. პაპანაქება იყო და როგორც თითქმის ყველა, კორტებ-

თბილისი. 1998 წელი. ჯანო ბაგრატიონის გერმანელთა მიერ წმინდა გიორგის ორდენის კავალრად კურთხევის ცერემონიალი

Tbilisi. 1998. The ceremony of inauguration of Jano Bagrationi as a holder of St. George Order by the Germans

For sure, I can't remember that I have ever dreamt about it either in my childhood or in my juvenile age and later. After restoration of Georgia's state independence my friends frequently joke with me … here is independent Georgia … here is a throne and let's ascent and reign and we will be your servants. Internally I'm a monarchist and if monarchy is going to be restored in Georgia, this will be a rather symbolic act, but circumstances and preconditions must mature for this. However, we must not seek a symbolic kind in Italy or Spain but find a person here. In Georgia there are many young well-educated and polite representatives of the Bagrationis who deserve this title from all points of view.

We have established the house of descendents of the Bagrationis, which unites about hundred representatives of the Bagrationis. Nanuka Bagrationi leads the house and I'm her deputy. Our goal is to popularize the Bagrationi family name which this house bears. Can others like the Bagrationis claim 10-century history of reign?!

თბილისი. 1992 წელი.
ძმები ჯანო და გიორგი ბაგრატიონები
იტალიიდან ჩამოსულ ქეთევან
ბაგრატიონთან და ბაგრატიონ
დავითიშვილებთან ერთად

Tbilisi. 1992.
The Bagrationi-Davitishvilis

ზე პაექრობას მეც შორტებში გამოწყობილი ვადევნებდი თვალყურს. იქ დიდი ამალით ესპანეთის მეფეც მობრძანდა. ერთმანეთს იქვე გავეცანით. აღმოჩნდა, რომ ხუან კარლოსი განსაკუთრებით კარგად იცნობდა ესპანეთთან დაკავშირებული ბაგრატიონების ისტორიას. მეფემ გაიხსენა ავტომრბოლელი ხორხე ბაგრატიონი, სხვა ქართველი სპორტსმენებიც. მერე სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ, რომელიც უკვე თბილისში დაბრუნებულმა ხუან კარლოსისგან სამეფო გვირგვინით გამოსახულ მუყაოზე დაკრული და ავტოგრაფით დამშვენებული მივიღე.

— 1991 წლის ამერიკულ ჟურნალ „თაუნ ენდ ქანთრიში“ გამოქვეყნებულ ნარკვევში თქვენს შესახებ იყო მოთხრობილი. ავტორი ერინ კონდიტი გაკვირვებული და აღტაცებული წერს: "ჯანო ბაგრატიონს წითელი ღვინით სავსე ორფუთიანი ყანწი უჭირავს. იგი მაგიდიდან ოდნავ მოშორებით დგას. ძლევამოსილი მზერით ყველა ჩვენგანის თვალებში ღრმად იხედება და ამბობს სადღეგრძელოს: „მე ვსვამ ჩემი წინაპრების, საქართველოს

— One of the interesting photos in your family album shows you and King of Spain Juan Carlos. Our readers will be interested in when and where the photo was taken.

— It was in 1992, when I was at the tennis tournament during the Olympic Games in Barcelona. Weather was very hot and I was watching the games dressed in shorts like other spectators on the tennis-court. King of Spain came there together with a large body of his suite. We acquainted with each other there and I found that Juan Carlos knew particularly well the history of the Bagrationis living in Spain. The king remembered Spain-based race-driver Khorkhe Bagrationi, an offspring of the royal Bagrationis, and other Georgian sportsmen. Then we together took a memorable photo. After return-home in Tbilisi I received the photo from the very Juan Carlos framed by the royal crown and decorated with his personal autograph.

— The story published in the issue of the American magazine "Town and Country" in 1991 tells about you. The author of the story Erin Condit writes full of admiration and surprise "Jano Bagrationi carries a two feet long horn full of red wine. He is standing at some distan-

მეფეების და ოჯახის იმ წევრთა სადღეგრძელოს, რომლებიც ამ ღირსშესანიშნავ წვეულებაზე ჩვენს შორის აღარ არიან". მერე სამეფო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი მშობლიურ ენაზე ამბობს: „გაუმარჯოს!" და ერთი ამოსუნთქვით ცლის ყანწს. იმ დღეს ჯანო ბაგრატიონმა ოცდახუთი ჭიქა ღვინო დალია".

— დალევით მართლაც ბევრი შემეძლო, ისე, რომ არ ვთვრებოდი. ჭიქას ყოველთვის ბოლომდე ვცლიდი. თუმცა, ზომიერი სასმისი მიყვარს. სასმელებიდან კახური ღვინო ყველაფერს მირჩევნია. რაც შეეხება თამადობას, პირველად მეათე კლასში ვიყავი, როცა სუფრას გავუძეხი, მაგრამ პროფესიონალი თამადა არ ვარ. სუფრას არც ისე ხშირად გავძღოლილვარ. ეს უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. თუმცა, ამბობენ, რომ ცუდი თამადა არ ვარ. ისე კი, როცა ვთამადობ, ცოტა არ იყოს, შებოჭილი ვარ და ვერ ვიხსნები.

— ამბობთ, ჩემი მეუღლე უგემრიელეს კერძებს ამზადებსო, რასაც მეც გიდასტურებთ. თქვენი გურმანობის ამბავიც ვიცით, მაგრამ თავად თუ გეხერხებათ მზარეულობა?

— ცოტ-ცოტა რაღაცები მეხერხება და სამზარეულოშიც არაერთხელ დავტრიალებულვარ.

— ახლა, თქვენი 65 წლის იუბილეზე განსხვავებული სასმისით რომელ სადღეგრძელოს დალევთ?

— გეხსომებათ, სამოცისა რომ გავხდი, ექვსასამდე კაცი რესტორან „არაგვში" მივიწვიე. ბევრი მაინც დაუპატიჟებელი დამრჩა და გამინაწყენდა კიდეც. ამიტომ ახლა 65 წლის იუბილეს მხოლოდ ვიწრო წრეში აღვნიშნავ. რაც შეეხება განსხვავებულ სასმისს, ოჯახში მხოლოდ მამის სადღეგრძელოს ვსვამ და ტრადიციას არც ახლა დავარღვევ.

2003 წელი

ce from the table peering into the eyes of each of us with his mighty gaze and proposes a toast. "I'm drinking to my ancestors, to Georgian kings and to those deceased members of the family who are not among us at this remarkable party." Then the last representative of the royal dynasty says in his native language "Gaumarjos" (wassail) and empties the horn all in the same breath. That day Jano Bagrationi drank twenty five glasses of wine.

— Indeed, I could consume a lot of alcohol without getting drunk and I have always emptied my glass. However, I like mild beverages and prefer Kakhetian wine. As to my skills of "Tamada" (toast-master), I was tenth-form boy when I led a party as Tamada for the first time. Nevertheless, I'm not a professional "Tamada" and I haven't been master of parties very often. This is a great burden and responsibility. However, as they say I'm not a bad "Tamada." While acting as "Tamada" it's difficult for me to be open because I feel myself constrained.

— You said that your wife is an excellent cook and makes delicious cuisine, which I can confirm. We also know about your gourmandize. Are you good in kitchen?

— I can cook a little and people could see me in the kitchen many times.

— In connection with your 65th anniversary what kind of toast would you propose and drink with a goblet of different size?

— You probably remember I invited about six hundred guests to the 'Aragvi' restaurant when celebrated my 60th anniversary. Many others remained uninvited and likely took offence at me. That's why I'm going to mark my 65th anniversary in the narrow circle. What about a goblet of different size, I use it in my family only when I drink to my father and today I'll keep this tradition.

2003

მეამაყება, რომ ვიცნობ და ვმეგობრობ ბატონ ჯანოსთან, ქართველი ხალხის საამაყო შვილთან, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ხალხის მეხსიერებაში. პირველად მე ჯანო გავიცანი, როგორც ქართული სპორტის აღიარებული ლიდერი, რომელმაც სპორტის მრავალი სახეობის განვითარებას ხელი შეუწყო და ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწია.

სპორტის იმ სახეობებს, რომლებიც ბატონ ჯანოსთან არის დაკავშირებული, არ ჩამოვთვლი, რადგან სპორტის ისტორიითა და დღევანდელობით დაინტერესებულ მკითხველს ჩემი შეხსენება არ სჭირდება.

ბატონი ჯანო ცნობილია, როგორც დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, რაც სხვადასხვა დროს ხალხის თუ ხელისუფლების ჯილდოებით, მადლობებით და წოდებებით აღინიშნა.

ჯანო ბაგრატიონი ღმერთმა სხვამხრივაც დაჯილდოვა. იგი არის შესანიშნავი მცოდნე ქართული ფოლკლორისა, საერთოდ მუსიკალური კულტურისა. ამ სფეროშიც მან თავისი წარუშლელი კვალი დატოვა.

და ბოლოს, ბატონი ჯანო ის ადამიანია, რომელსაც უამრავი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავს. სწორედ ასეთ ადამიანებს უწოდებენ კაცურ კაცს, უღალატო პიროვნებას და დიდ მოქალაქეს.

ედუარდ შევარდნაძე

I'm proud of my acquaintance and friendship with Jano Bagrationi who is an honorable representative of the Georgian nation. He has left ineffaceable trace in the memory of our people. I first acquainted with Jano as an acknowledged leader of Georgian sports who developed many types of sports in the country and achieved brilliant results.

I will not list the types of sports which are associated with Jano Bagrationi, because a reader who is interested in the past and present of our sport doesn't need reminding from me.

Jano Bagrationi is known as a distinguished state and public figure and his merits have been marked by the various public and state awards, titles and gratitude. The God granted Jano Bagrationi with other talents. He is a connoisseur of Georgian folklore and musical culture in general. He has left his ineffaceable trace in this sphere as well.

And, finally Jano Bagrationi is the person who has numerous friends and fans. This is the very man whom we consider manly man, reliable person and a great citizen.

EDUARD SHEVARDNADZE

სპორტულ და სამწვრთნელო სარბიელზე

AT A SPORT-GROUND AND COACH ARENA

II



თბილისი. 1953 წელი.
ჯანო ბაგრატიონი ჯერ კიდევ კალათბურთელია და თანაგუნდელებთან ერთად საბჭოთა კავშირის პირველობაზე თამაშობს. მარჯვნიდან მეექვსე — ჯანო ბაგრატიონი.

Tbilisi. 1953.
Jano Bagrationi is a basketball player as yet and plays at the Soviet Union championship together with coevals. Jano Bagrationi is the sixth from the right.

ჯანო ბაგრატიონი საქართველოს ხელბურთელთა ერთ-ერთი პიონერი და ამ თამაშის დანერგვის აქტიური მონაწილეა. ხელბურთი საქართველოში 1950-იან წლებში გაიცნეს, მაგრამ ის, თუ საერთოდ ვინ გამოიგონა სპორტის ეს სახეობა, ამაზე ერთი აზრი არ არსებობს. საქმე ისაა, რომ ხელბურთის ფესვები მრავალ ქვეყანაში გვხვდება, მათ შორის ჩეხეთში, დანიაში, უკრაინაში...

ხელბურთი, როგორც სპორტის ახალი სახეობა, ათლეტიკის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციამ 1926 წელს ჰააგაში (ჰოლანდია) გამართულ კონგრესზე აღიარა. ჰოლანდიაშივე, კერძოდ ამსტერდამში, 1928 წელს შეიქმნა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც თერთმეტი ქვეყანა გააერთიანა. 1938 წელს ბერლინში ხელბურთი ოლიმპიური სახეობა გახდა, მაგრამ მერე, 1972 წლამდე იგი ხუთ რგოლს მიღმა აღმოჩნდა. ამ სახეობაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი 1938 წელს ჩატარდა, მაგრამ მომდევნო პირველობა მეორე მსოფლიო ომმა 16 წლით შეაფერხა, 1954 წელს კი კვლავ განახლდა. ასე იყო თუ ისე, იმავე 50–იან წლებში გადაწყდა საბჭოთა კავშირში ხელბურთის დანერგვა, რისი მცდელობაც 1920-იან წლებშიც იყო, მათ შორის საქართველოშიც. საქართველოში ამისთვის 1956 წლის მიწურულს ჩამოვიდა სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის წარმომადგენელი კუდრიავცევი, რომელმაც ამ თამაშის აგიტაცია-პროპაგანდა დაიწყო და სემინარებიც გამართა. კუდრიავცევს ყველაზე მეტად მხარი აუბეს თამაზ ანთაძემ, ჯანო ბაგრატიონმა და სხვებმა.

ჯანო ბაგრატიონი იხსენებს, ყველანი ხელმოცარული კალათბურთელები ვიყავით და მწვრთნელის ფუნქციაც ყოფილმა კალათბურთელმა გიორ-

თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებს
ახსოვს ჯანო ბაგრატიონის თამაში

Stands of Tbilisi Sports Palace remember Jano Bagrationi's performance





პრაღა, 1965 წელი. გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტი ჯიმშერ ენუქიძე, ჯანო ბაგრატიონი, ლეგენდარული ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელი მეკარე პლანიჩკა და ჯემალ აბაიშვილი

Prague, 1956, Jimsher Enukidze, correspondent of "Lelo" newspaper, Jano Bagrationi, legendary Czech footballer goalkeeper and Jemal Abaishvili

გი შარაშიძემ ითავა, თუმცა ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით მხოლოდ რამდენიმე კაცი მოვეკიდეთო. ამასთან დაკავშირებით 1964 წელს გამოცემულ თავის წიგნში „პატარა ბურთის ოსტატები“ ზურაბ ჯვებენავა წერს:

„მიუხედავად იმისა, რომ კუდრიავცევი მთელი მონდომებით ცდილობდა დაეინტერესებინა ახალგაზრდობა ხელბურთით და შეძლებისდაგვარად ატარებდა ვარჯიშებს, გუნდის მდგომარეობა მაინც მერყევი იყო. გარდა რამდენიმე სპორტსმენისა, რომელთა შორის აღსანიშნავია თამაზ ანთაძე და ჯანო ბაგრატიონი, ხელბურთელთა უმეტესობა ჯერ კიდევ უნდობლობას იჩენდა სპორტის ამ ახალი სახეობისადმი. ზოგი ტოვებდა კიდეც ხელბურთის მოედანს და ადრინდელ სპორტულ „ხელობას“ უბრუნდებოდა.

კუდრიავცევის წასვლის შემდეგ მდგომარეობა უფრო კრიტიკული გახდა. მოსალოდნელი იყო ჯგუფის დახურვა და ამ კარგი საქმის მივიწყება, მაგრამ აქ თავი იჩინა თამაზ ანთაძის, ჯანო ბაგრატიონისა და სხვათა ახალგაზრდულმა ენთუზიაზმმა, ხელბურთისადმი დიდმა სიყვარულმა. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებთან, სპორტული ბაზების ჯიუტ დირექტორებთან და ბევრ სხვასთან, ვისაც ხელბურთი უნაყოფო წყლის ნაყვად მიაჩნდა, სანამ ბოლოს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თაოსნობით, 1957 წელს არ ჩამოყალიბდა საქართველოს ხელბურთელთა პირველი ნაკრები გუნდი (11:11), რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: თამაზ ანთაძე, ნოდარ იგითხანოვი, ლევან ლოლუა, ბესიკ შარაშიძე, ბახა ცხოვრებაძე, ჯანო ბაგრატიონი, არტურ რატიანიძე და სხვები. აქედან დაიწყო მათი ისტორიაც“...

1964 წელს თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთულთა გუნდი მეორედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.
ზედა რიგში: თამაზ ანთაძე, ჯემალ ცერცვაძე, გარი მაჭავარიანი, უფროსი მწვრთნელი გიორგი შარაშიძე, თემურ ზარდალიშვილი, ბორის კოპალეიშვილი, ჯანო ბაგრატიონი; სხედან: ჯემალ ზაქარაიძე, ლერი კარტოზია, ალექსანდრე ხუციშვილი, იმედო ფხაკაძე, ჯემალ აბაიშვილი, ანზორ ექსეულიძე.

In 1964, Tbilisi "Burevestnik" handball team became champion of the USSR for the second time.
In the upper row: Tamaz Antadze, Jemal Tsertsvadze, Gary Machavariani, senior coach Giorgi Sharashidze, Temur Zardalishvili, Boris Kopalesihvili, Jano Bagrationi; Sitting: Jemal Zakaraidze, Leri Kartozia, Alexander Khutsishvili, Imedo Pkhakadze, Jemal Abaishvili, Anzor Ekseulidze.

გაზეთი „ლელო“, 1964 წლის 16 ნოემბრის ნომერში წერდა:

„3 წლის განმავლობაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურის ორჯერ დაპყრობა იოლი საქმე როდია. ჩემპიონთა გარდამავალ თასზე ორჯერ რომ ამოტვიფრო თბილისის მისამართი, უთუოდ გამარჯვებისადმი ლტოლვის დაუოკებელი ჟინით აღსავსე უბადლო ოსტატობის მქონე კოლექტივი უნდა იყო. აი, ასეთი მონოლითური გუნდია თბილისის „ბურევესტნიკი“, რომელმაც მთელი ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და ისევე, როგორც 1962 წელს კაუნასში, უძლიერესის სახელი მოიხვეჭა.

მოვიგონოთ, როგორ ვითარებაში მოიპოვეს I ადგილი თბილისელებმა კაუნასში. მაშინ ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ბოლო მატჩს ადგილობრივ „ათლეტასთან“. ოქროს მედლების მოპოვებისთვის თბილისელებს ფრეც ჰყოფნიდათ და მიზანს მიაღწიეს! ახლაც, უკანასკნელ „ოქროს მატჩში“ (ამჯერად ზაპოროჟიელებთან) ჩვენს თანამემამულეებს პირველობისთვის კვლავ ფრე აძლევდათ ხელს, მაგრამ მათ პროგრამა-მინიმუმის შესრულებას მაქსიმუმი ამჯობინეს და ძლიერი მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხეს“.

თბილისი. 1964 წელი.
თბილისის „ბურევესტნიკის“
ხელბურთელთა გუნდი
(მარცხნიდან): ჯემალ აბაიშვილი,
ალეკო ხუციშვილი, იმედო ფხაკაძე,
ლერი კარტოზია, გარი მაჭავარიანი,
თამაზ ანთაძე, ბორის კოპალეიშვილი,
ჯემალ ცერცვაძე, ჯანო ბაგრატიონი,
ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ზაქარიაძე

Tbilisi. 1964.
Tbilisi "Burevestnik's" Handball Team



შეტევაზეა ჯანო ბაგრატიონი

Jano Bagrationi's attack



ჯანსუღ ბაგრატიონი აქამდე არცთუ ხშირად ტყორცნიდა, კარგი – აშკარად გამოხატული დაცვის მოთამაშე იყო. მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატის მატჩებში მან ბურთის გატანის ოსტატის სახელიც დაიმკვიდრა. ჯანო მუდამ კარგ გუნებაზეა, მძიმე ვითარებაშიც კი არ კარგავს წარმატების იმედს, მთელი სულითა და გულით იბრძვის. ასეთია იგი მოედანზე, ასეთია იგი ცხოვრებაშიც. ცეკვა-თამაშისა და სიმღერის პირველი წამოწყები, ჩვენი უმცროსი ჯანო – უფროსი ჯანო ბაგრატიონის ღირსეული ვაჟკაცი.

გაზეთი „ლელო“ (16.06.1964)

Jansugh Bagrationi have not been throwing often heretofore. He was a good and well-defined defender. But in the games of this year's championship he showed himself as a skillful goal scorer. Jano is always in good spirits and he doesn't lose hope for victory even in a complicated situation. He is fighting with all his heart. This is Jano on the stadium and he is the same in the everyday life. He is initiator of entertainment, dancing and singing. This is our Jano junior – worthy member of the elder Jano Bagrationi's family

"Lelo" newspaper (16.06.1964)

ჯანო ბაგრატიონის 1966 წლის
სახელბურთო პერიპეტიები
თბილისში, ლვოვსა და მოსკოვში

Jano Bagrationi's handball upheavals in Tbilisi, Lvov and Moscow



ჯანო ბაგრატიონმა სამწვრთნელო საქმიანობა გოგონებთან დაიწყო

Jano Bagrationi started his career of coach by training of girls

ჯანო ბაგრატიონი გოგონათა გუნდების შემდეგ თავის მშობლიურ თბილისის „ბურევესტნიკს" მწვრთნელის როლში დაუბრუნდა

After employment in the girls' team Jano Bagrationi returned to his home team Tbilisi 'Burevestnik' in the capacity of coach

ჯანო ბაგრატიონმა წარმატებები მწვრთნელის ამპლუაშიც მიითვალა. 1972 წელს მას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

Jano Bagrationi claimed success as a coach as well. In 1972 he was awarded the title of an Honored Coach of the Soviet Union.







თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელი ალექსანდრე ანპილოგოვი (№9) 1976 წელს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა, რისთვისაც ჯანო ბაგრატიონს, როგორც მის აღმზრდელს, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. ანპილოგოვმა თავისი მწვრთნელი მერე მსოფლიოს ჩემპიონობითაც გაახარა. ჯანო ბაგრატიონის ამ და სხვა წარმატებებით მისმა მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემაც (ზედა ფოტოზე) გაიხარა.

Alexander Anpilogov of Tbilisi "Burevestnik" became a champion of 1972 Olympic Games and his success brought his trainer Jano Bagrationi the title of the Honorable Coach of the USSR. Anpilogov made his trainer happy one more time by winning the eighth world championship. Jano Bagrationi's achievements made happy his coach Giorgi Sharashenidze (upper photo).

ჩემო ძვირფასო მეგობარო ჯანსუღ,

დიდად მახარებს, რომ 2008 წლის 4 აპრილს დაბადების 70 წლის იუბილეს აღნიშნავთ. ნება მომეცით, რომ ეს თარიღი მთელი ევროპული ოლიმპიური ოჯახის სახელით გულითადად მოგილოცოთ და ბედნიერება გისურვოთ.

მე პირადად მსურს ყოველივე საუკეთესო გისურვოთ, როგორც ჩემს დიდ მეგობარსა და გულწრფელ მხარდამჭერს, რასაც ოლიმპიურ მოძრაობაში მთელი ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ვგრძნობდი და ამას ძლიერ ვაფასებ.

ასევე სიამოვნებით ვიხსენებ იმ შესანიშნავ დღეებს, რომლებიც მე და ჩემმა მეუღლემ თქვენი და თქვენი მშვენიერი მეუღლის გარემოცვაში გავატარეთ. მინდა გავიხსენო ის დაუვიწყარი დროც, მრავალ ღონისძიებაზე ერთად რომ გვიტარებია.

თქვენ მართლაც უდიდესი სამსახური გაუწიეთ სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას საქართველოში და ამ იდეალებით ხელმძღვანელობდით იმ მძიმე ჟამს.

თქვენნაირი ლიდერების გარეშე ოლიმპიური მოძრაობა ვერ იარსებებდა.

მსურს ასევე საუკეთესო სურვილები გადმოგცეთ ჩემი მეუღლე სილვიანისგან და ბედნიერი საიუბილეო დღეები გისურვოთ თქვენ და თქვენს მეუღლეს.

პატივისცემით,
პატრიკ ჰიკი
*ევროპის **ეოკ**-თა პრეზიდენტი*

My Dear Friend Jansug,

It is with great pleasure that I learn of your upcoming 70th Birthday of 4th April 2008. Let me on behalf of the whole European Olympic family send you our best wishes and greetings for a very Happy Birthday.

Can I say personally what a great pleasure it is for me to send my best wishes, you have been a great friend and supporter of mine during my career in the Olympic movement, and I very much appreciate that.

I also very much enjoyed the time my wife and I spent in the company of you and your charming wife and the great fun we had together on many occasions.

You have really been of tremendous service to your Country in Sport and the Olimpic movement and you have guided them through many difficult situations.

Without leaders like you the Olimpic movement could never survive.

I also send you the very best wishes from my wife Sylviane, and we wish you and your wife a really great day.

Yours sincerely,
PATRICK HICKEY,
Europe's National Olympic Committees President

ჯანო და ოლიმპიური მოძრაობა



III

JANO AND OLYMPIC MOVEMENT

ატლანტა. 1996 წელი. აქ საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მეთაურის რანგში ჯანო ბაგრატიონის ოლიმპიური დებიუტი შედგა

Atlanta. 1996. Here Jano Bagrationi made his Olympic debut in the capacity of the head of the Georgian Olympic delegation

საქართველოს ოლიმპიზმის ისტორიაში ახალი ეტაპი 1996 წლის მიწურულს, ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგით მეორე პრეზიდენტად ჯანო ბაგრატიონი ერთხმად აირჩიეს. მისი პრეზიდენტობის პირველივე ოლიმპიური ციკლის პირველივე წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით დაიწყო. მაშინ, 1997 წელს საქართველოს წარმომადგენლებმა სპორტის ოთხ ოლიმპიურ სახეობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში ხუთი ოქროს, ორი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სწორედ იმ წელიწადს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა მოკრივე გიორგი კანდელაკი, ვინც ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონით კატეგორიაში მიაღწია ამ წარმატებას.

იმავე წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოი-

At the end of 1996 after the Olympic Games in Atlanta a new stage had started in the history of Georgian Olympic movement, when Jano Bagrationi was unanimously elected as second president of GNOC. The very first year of his presidency was marked by significant achievements in the Olympic cycle. In 1997, Georgian entrants won five golden, two silver and three bronze medals in four Olympic types of sports at the various championships of Europe and the World. In the same year for the first time in the history of independent Georgia boxer Giorgi Kandelaki became the world champion in the most prestigious heavyweight category. In the same year Georgian sportsmen achieved significant successes at the winter and summer Olympic days of the European youth and at the Olympic days of Balkan states.

1997 was important from the point of view of propagation of Olympic ideas and values. Although GNOC



პოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში, ბალკანეთის ქვეყნების პირველ ოლიმპიურ დღეებში.

1997 წელი მნიშვნელოვანი იყო ოლიმპიზმის პროპაგანდის მხრივაც. მართალია, ყოველივე ამას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტის, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის მოღვაწეობის წლებში, რომელიც უმძიმესი იყო ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ამ პოსტზე ჯანო ბაგრატიონის ხანაში წარმატებები მომრავლდა და ახალ სიმაღლეზე ავიდა. თუმცა საქართველოსთვის არც ეს წლები იყო იოლი და დალხენილი.

„სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა, სპორტის მუშაკებმა და ხელმძღვანელებმა შეუძლებელი შეძლეს, მათ გარკვეულ დონეზე არა მარტო შეინარ-

first president Nona Gaprindashvili was at the origins of this endeavor in the hardest period for our country, but during Bagrationi's presidency successes in this field have multiplied and elevated to a higher level. Although that period was not trouble-free for Georgia.

"Georgian sportsmen, coaches, sport workers and officials did more than they can stand. They not only maintained sport at a certain level, but strengthened its image and enhanced its international authority," Emzar Zenaishvili, secretary general of GNOC, wrote in the Georgian magazine "Olympian."

The most important what Jano Bagrationi did for the last years of his presidential term was establishing the Olympic Fund, which become possible thanks to great efforts of GNOC and good will of the well-known businessman Badri Patarkatsishvili, which allowed the Georgian Olympic movement to rise to its feet.

ჩუნეს სპორტი, არამედ განამტკიცეს მისი იმიჯი, აამაღლეს საერთაშორისო ავტორიტეტი“, – წერდა ჟურნალ „ოლიმპიელში“ სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

ამ პერიოდში ჩვენი ათლეტებისთვის, ისე როგორც სეოკ-ის და მის პრეზიდენტისთვის, სპორტული თვალსაზრისით მთავარი გამოცდა ოლიმპიური თამაშები იყო, რამაც წარმატებით ჩაიარა.

2000 წელს, სიდნეის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს 36 წარმომადგენელმა სპორტის ცამეტ დისციპლინაში იასპარეზა. მათგან

After the Olympic Games in Athens in because of worsening health condition Jano Bagrationi didn't run for reelection as GNOC president. Despite this he still serves faithfully for the Olympic movement.

2000 წელს, სიდნეის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს 36 წარმომადგენელმა სპორტის ცამეტ დისციპლინაში იასპარეზა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

Sydney Olympic Games -2000, where 36 entrants from Georgia competed in thirteen types of sports and won 6 bronze medals

ექვსმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაც ატლანტურ მონაგარზე სამჯერ მეტია.

სიდნეიში საქართველოს სპორტსმენთაგან ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: ძალოსანი გიორგი ასანიძე, ძიუდოისტი გიორგი ვაზაგაშვილი, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები მუხრან ვახტანგაძე, აკაკი ჩაჩუა, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ელდარ კურტანიძე და მოკრივე ვლადიმერ ჭანტურია.

საბოლოოდ, არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა სპორტსმენებმა 199 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის მოპოვებული მედლების რაოდენობით 30-ე, მე-40-ე ადგილები გაიყვეს, ჯილდოების ხარისხობრივი მაჩვენებლებით კი 67-ე საფეხურზე აღმოჩნდნენ მაშინ, როცა 119 სახელმწიფო საერთოდ უმედლოდ დარჩა.

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე
საქართველოს დელეგაციის მედროშე
გიორგი ასანიძემ ძალოსნობაში ბრინჯაოს
მედალი მოიპოვა

Giorgi Asanidze, weightlifter and standard bearer of Georgian delegation, won a bronze medal at the Olympic Games in Sydney





გიორგი ვაზაგაშვილმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული ჯილდოები სიდნეის ოლიმპიურ ტატამზე დამსახურებული ბრინჯაოთი გაამდიდრა

Judoist Giorgi Vazagashvili enriched his box of awards conquered at Europe and world championships by the bronze medal that he deservedly won at the Olympic tatami in Sydney



მუხრან ვახტანგაძემ სიდნეიში
ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში
მესამე საპრიზო ადგილით გაგვახარა

Mukhran Vakhtangadze made us happy by his bronze medal won at Sydney Olympics in Greco-Roman Wrestling







აკაკი ჩაჩუამ სიდნეის ოლიმპიური ბრინჯაოთი თავადაც
გაიხარა და თავისი ქომაგნიც გაახარა

By winning bronze medal at Sydney Olympic Games Akaki Chachua made happy his fans and himself





ელდარ კურტანიძე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში სიდნეის ოლიმპიურ სარბიელზე, ისე როგორც ატლანტაში, ბრინჯაოს მედალოსანი გახდა

At Sydney Olympic Games freestyle wrestler Eldar Kurtanidze repeated his achievement in Atlanta and won bronze medal





ვლადიმერ ჭანტურია სიდნეის ოლიმპიური რინგის საპატიო კვარცხლბეკზე მესამე საფეხურამდე აღზევდა

Vladimer Chanturia became bronze medalist at Sydney Olympic Games

ჟურნალისტებმა ამ ორ ვერსიას მესამეც დაამატეს, როცა ამა თუ იმ დელეგაციის მიერ მოპოვებული მედლები შესაბამისად, ქვეყნების მოსახლეობაზე გაანაწილეს. ამგვარი სტატისტიკით საქართველო მე-20 ადგილზე აღმოჩნდა.

და მაინც, დამოუკიდებელი საქართველოს სპორტსმენებისთვის ყველაზე წარმატებული ოლიმპიური თამაშები ათენში იყო. მაშინ, 2004 წელს საბერძნეთის დედაქალაქში ჩვენი 34 ოლიმპიელი სპორტის 12 დისციპლინაში გამოვიდა, მათგან ორნი, ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური და ძალოსანი გიორგი ასანიძე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. ასევე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ვერცხლის მედალოსნები გახდნენ ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე რამაზ ნოზაძე.

არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლებმა 202 ქვეყნის სპორტსმენთა შორის, მედლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, 32-ე, ხოლო ჯილდოების რაოდენობის მხრივ 67-ე ადგილი დაიკავეს.

„ყოველივე ამაში ლომის წილი, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ოლიმპიურ გუნდს და ბადრი პატარკაციშვილს მიუძღვის. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ქართული სპორტის შენარჩუნება მისი დამსახურებაა. 2002 წელს, როდესაც ფაქტობრივად უფსკრულში გადაჩეხვის პირას ვიდექით, სეოკ-ის ინიციატივითა და აქტიური ძალისხმევით, რასაც ბატონი ბადრის კეთილი ნებაც დაერთო, ოლიმპიური ფონდი დაარსდა, სწორედ ამას მივიჩნევ სეოკ-ში ჩემი საქმიანობის უმთავრეს მიღწევად“, – ამბობდა ჯანო ბაგრატიონი.

სამწუხაროდ, 1998 წელს ნაგანოს XVIII ზამ-

ორის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარმომადგენლები, როგორც მოსალოდნელი იყო, უმედლოდ დარჩნენ. იაპონიის ამ ქალაქში 68 ქვეყნის მონაწილეთაგან საპრიზო ადგილები მხოლოდ 24 სახელმწიფოს სპორტსმენებმა მოიპოვეს. ნაგანოს სტარტებამდე ფიქრობდნენ, თუ ჩვენი რომელიმე სპორტსმენი 30 საუკეთესოს შორის მოხვდება, ეს დიდი მიღწევა იქნებაო. ამიტომაც, როცა ზურაბ ჯიჯგიშვილმა სწრაფდაშვებაში მე-12 შედეგი აჩვენა, სლალომისა და დაშვების ჯამში კი 25 კაცი ჩამოიტოვა, ეს ყველამ წარმატებად აღიქვა.

სეოკ-ის აღმასკომმა ჩათვალა, რომ ჩვენი ოთხი სპორტსმენისთვის ნაგანოს ლიცენზიების მოპოვება უკვე წარმატება იყო, რაც ვერ შესძლეს 130-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა. თავად თამაშებში მონაწილეობა შეესაბამებოდა საქართველოს, როგორც სპორტულ, ისე სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ანალოგიური სურათი განმეორდა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც, სადაც უმედლოდ დარჩენილ დელეგაციებს შორის საქართველოს გუნდიც აღმოჩნდა. ჩვენგან საუკეთესო, ვახტანგ მურვანიძემ, ფიგურულ ციგურაობაში, რომელშიც საქართვე-

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ჩვენი დელეგაცია სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან დაბრუნებისთანავე მიიღო, მერე კი ყველა მედალოსანი ღირსების ორდენით დააჯილდოვა და ჯანო ბაგრატიონსაც მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისთვის

Georgian President received our delegation on its return from Sydney Olympic Games, decorated all prize-winners with Order of Honor and thanked Jano Bagrationi for the work done

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებამდე საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა მიიღო

Before departure to the Athens Olympic Games the Georgian Olympic delegation was received by President Mikheil Saakashvili

საქართველოს სპორტსმენები ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე

Georgian sportsmen at the opening ceremony in Athens

ლოს წარმომადგენელთა ოლიმპური დებიუტი შედგა, მე-17 ადგილი დაიკავა. არადა, შეჯიბრების დაწყებამდე ფიქრობდნენ, რომ თუ ვახტანგ მურვანიძე 24 ფინალისტს შორის მოხვდება, ეს უკვე წარმატება იქნებაო.

წარმატებათა სერია გაგრძელდა ლისაბონის, მერე კი ესბერგისა და მურსიას ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში. ლისაბონში ჩვენმა ფეხბურთელებმა ოქროს მედლები მოიპოვეს, ერთმა ძიუდოისტმა ვერცხლის, ორმაც ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა. საბოლოო ჯამში საქართველომ 48 ქვეყნის დელეგაციას შორის მოპოვებული მედლების ხარისხის მხრივ 22-ე, რაოდენობის გათვალისწინებით კი მე-16-25-ე ადგილები გაიყო.

მომდევნო, ესბერგის V თამაშებში საქართველოს დელეგაცია მანამდე გამართულ ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში ყველაზე მცირერიცხოვანი გუნდით გამოვიდა, მაგრამ ისე კარგად იასპარეზა, როგორც არასდროს. ჩვენმა დელეგაციამ ოთხ სახეობაში, საერთო ჯამში, 14 სპორტსმენით სცადა ძალა და შვიდი, მათ შორის ერთი ოქროს, სამ-სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საბოლოოდ არაოფიციალურ კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლები მედლების ხარისხის მიხედვით მე-17 ადგილზე გავიდნენ, საპრიზო ადგილების რაოდენობით კი მე-12-14 ადგილები გაიყვეს.

2001 წელს რიგით VI ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებს ესპანეთის ქალაქმა მურსიამ უმასპინძლა. აქ საქართველოს წარმომადგენლებ-

მა, შეიძლება ითქვას, რომ ბრწყინვალედ იასპარეზეს და ამ თამაშების ისტორიაში რეკორდული რაოდენობა, ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს და კიდევ ორი ბრინჯაო დაიმსახურეს. ამ მედლებიდან ერთი ბრინჯაო მძლეოსანთა, დანარჩენი კი ტრადიციისამებრ ძიუდოისტთა ანგარიშზე იყო. საბოლოოდ მედლების ხარისხობრივი მაჩვენებლებით საქართველოს დელეგაცია მე-10, რაოდენობის მხრივ კი მე-17-18 იყო.

მომდევნო ამგვარ შეჯიბრებაზე, რომელიც პარიზში ახლა უკვე ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის სახელწოდებით ჩატარდა, საქართველოს სპორტსმენებმა ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ყველა მედალი, თუ არ ჩავთვლით მძლეოსანთა ერთ ოქროს ჯილდოს, კვლავ ძიუდოისტებმა დაიმსახურეს. საბოლოოდ საქართველოს სპორტსმენები ოფიციალურ გუნდურ პირველობაში მედლების ხარისხობრივი მაჩვენებლებით XV ადგილზე აღმოჩნდნენ, ხოლო რაოდენობის მხრივ XII-XVII საფეხურები გაიყვეს.

საქართველოს წარმომადგენლებმა ძალზე გამოიჩინეს თავი I მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზეც, რომელსაც მომდევნო 1998 წელს მოსკოვმა უმასპინძლა.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა ამ თამაშებზე, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით ჩატარდა, 137 სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის მედლების რაოდენობით VI, ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლებით XII ადგილი

ათენში ზურაბ ზვიადაური
დამოუკიდებელი
საქართველოს პირველი
ოლიმპიური ჩემპიონი გახდა

In Athens Zurab Zviadauri has become the first Olimpic champion of independent Georgia

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა გიორგი ასანიძემ ათენში ოქროს მედალი დაიმსახურა

In Athens Giorgi Asanidze has become the second in turn Olimpic champion of independent Georgia





ათენში ნესტორ ხერგიანი
დამოუკიდებელი
საქართველოს პირველი
ოლიმპიური ვერცხლის
მედლის მფლობელი გახდა

In Athens for the first time ofter two Olimpic Games Georgian Nestor Khergiani won a silver medal



ათენში საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიური მონაგარი რამაზ ნოზაძემ ვერცხლის მედლით დაასრულა

Ramaz Nozadze's silwer medal had become our fourth and last joy in Athens



ლისაბონი. 1997 წელი. საქართველოს წარმომადგენლები ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ისტორიაში პირველად ზეიმობენ სათამაშო გუნდურ სახეობაში ჩემპიონობას, რაც ფეხბურთელებმა შესძლეს

Lisbon. 1997. For the first time in the history Europe's Youth Olympic Days representatives of Georgia are celebrating victory in the football teams contest

დაიკავეს. ალბათ დაგვეთანხმებით, ერთიც და მეორეც კარგი მაჩვენებელია.

ჩვენი სპორტსმენებიდან ჩემპიონები გახდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავე შოთა ბოღოლაშვილი და ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე. ვერცხლის მედლები მოიპოვეს იმავე ლაბაძემ, მისმა თანაგუნდელმა ირაკლი უშანგიშვილმა, მარგალიტა ჩახნაშვილმა, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე დავით გუგუნაშვილმა და ძიუდოისტმა ზურაბ ზვიადაურმა. ბრინჯაოს მედალოსნებად დაგვიბრუნდნენ: ძიუდოისტები გელა ბარათაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები პაატა ბიწაძე, დავით დოლიძე, ივანე ჩუბინიძე, გიორგი რურუა, რამაზ ნოზაძე, ილია ლეჟავა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები შალვა მუზიაშვილი, მიხეილ ბაგაური და ლევან ვაჭარაძე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარებული ასპარეზობიდან საინტერესო იყო 1997 წელს სოფიაში გამართული ბალკანეთის ქვეყნების ოლიმპიური დღეები, რომელშიც თერთმეტი ქვეყნის დელეგაცია გამოდიოდა. მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებმა სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედლით, ყველა განზომილებით, VI ადგილი დაიკავეს. ამ მონაპოვარში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, რომლებიც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამჯერ, ერთხელ კი მესამეზე ავიდნენ. თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მძლეოსნებზე მოდის, დანარჩენი ორი მესამე ადგილი კი კალათბურთელებმა და ჩოგბურთელებმა მოიპოვეს.

ესბერგი, 1999 წელი.
საქართველოს დელეგაცია ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების გახსნის ცერემონიალზე

Esberg. 1999.
Georgian delegation at the opening ceremony of Europe's Youth Olympic Days

ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ სპორტული სარბიელის მიღმაც. მათ შორის უმთავრესი იყო ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარებული გამოფენა-კონკურსი „ოლიმპიური ხელოვნება და სპორტი 2000". ამ პრესტიჟულ გამოფენაზე ექსპონირებული იყო თბილისელი მოქანდაკის ლევან ვარდოსანიძის ნამუშევარი „ბეისბოლი" და ცინარა ტერელაძის ფერწერული ტილო „ცხენბურთი". ამათგან „ბეისბოლი" მეორე პრიზით აღინიშნა, მერე კი ეს ქანდაკება სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე კულტურული პროგრამით გათვალისწინებულ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, რაც უამრავმა დამთვალიერებელმა იხილა.

საერთაშორისო სარბიელზე წარმატება იზეიმეს თბილისელმა მოსწავლეებმა, ძმებმა თორნიკე და ცოტნე გაჩეჩილაძეებმა. მათი თხზულებები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბავშვთა კონკურსზე საუკეთესოებად აღიარეს.

ამავე წლებში საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უფრო აქტიურად გააგრძელა ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდა, რაც გამოიხატებოდა ლიტერატურული და ფოტოკონკურსებით, ნაგანოსა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ამსახველი ფოტოგამოფენებით, კალენდრების, პლაკატების, წიგნებისა და ბროშურების გამოცემით, ოლიმპიური მეზეუმის გაფართოება-კეთილმოწყობით.

1999 წელს სეოკ-ის გაზეთი „ოლიმპიელი", რომელიც ღირსეულად ასრულებდა დამოუკიდებელ საქართველოში ოლიმპიური მემატიანის როლს, იმავე სახელწოდების ორენოვან ჟურნალად გარდა-

მურსია, 2001 წელი. ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე საქართველოს წარმომადგენლებმა, შეიძლება ითქვას, რომ ბრწყინვალედ იასპარეზეს და ამ თამაშების ისტორიაში რეკორდული რაოდენობის, ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს და კიდევ ორი ბრინჯაო დაიმსახურეს. ამ მედლებიდან ერთი ბრინჯაო მძლეოსანთა, დანარჩენი კი ტრადიციისამებრ ძიუდოისტთა ანგარიშზე იყო. ამ სურათზე სწორედ ჩვენი ტრიუმფატორი ძიუდოისტები და მათი მწვრთნელები არიან აღბეჭდილნი. ზედა რიგში: ლაშა გუჯეჯიანი, გურამ მოდებაძე, ჯემალ ნათელაშვილი (მწვრთნელები), გიორგი შინჯიკაშვილი; ქვემოთ – თედორე აბელაშვილი, ჯარჯი ზვიადური

Murcia, 2001, Georgian entrants performed brilliantly at Europe's Youth Olympic Days and broke the record of these games by the number of awards. They won four gold and two bronze medals. Out of these medals one was gaining of track and field athletes and the rest of the medals were traditionally under the belt judoists.

იქმნა და მანაც წარმატებით განაგრძო თავისი წინამორბედის მისია. ამის დასტური იყო „მედია სახლის" თაოსნობით გამართულ ქართულ ბეჭდურ ფესტივალზე მოპოვებული „ოქროს კალამი", რომელიც „ოლიმპიელმა" დაიმსახურა, როგორც საუკეთესო ჟურნალმა.

ოლიმპიზმის პროპაგანდის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს ოლიმპიური ფესტივალი, რასაც ჯანო ბაგრატიონის სეოკ-ის პრეზიდენტობისას, 2003 წელს ჩაეყარა საფუძველი. ამ ფესტივალის პროგრამით მრავალი სპორტული ღონისძიება, გამოფენა, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია და შეხვედრა მოეწყო. ეს ყველაფერი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სხვადასხვა თაობის ქართველი ოლიმპიელებისა და მათი სტუმრების საზეიმო საღამოთი გასრულდა.

ამ ფესტივალის სტუმართა შორის იყვნენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი, იტალიის სახელმწიფო მდივნის მოადგილე სპორტის დარგში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი მარიო პესკანტე, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი.

მათ ჯანო ბაგრატიონსა და ბადრი პატარკაციშვილის ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ჯილდოები გადასცეს. თავის მხრივ საქართველოს ეოკ-ის ჯილდოები გადაეცათ ჩვენს სტუმრებს, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატს, ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრს შიმონ პერესს.

ოლიმპიზმის პროპაგანდის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა თარიღებისადმი მიძღვნილი იუბილეების ჩატარება, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბრწყინვალედ

თბილისი. 2001 წელი. „ოქროს კალმით“ ჯილდოვდებიან საუკეთესო ჟურნალად აღიარებული „ოლიმპიელის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ ზენაიშვილი და რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი

Tbilisi. 2001. GNOC edition "Olympieli" has been recognized as the best magazine. The photo shows Emzar Zenaishvili, chair of "Olympieli" editorial board, receiving award "Golden Pen"

ორგანიზებული სეოკ-ის 10 წლისთავთან დაკავშირებული იუბილე, რომლისთვისაც ამავე ორგანიზაციის საიუბილეო მედლები დამზადდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ათლეტთა დებიუტის 50-წლიანი იუბილის აღნიშვნა, რასაც საგანგებოდ დაემთხვა სეოკ-ის ორდენების დამზადება. ამ დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ გაიხსნა სეოკ-ის შტაბ-ბინის განახლებული ფასადი – თავისებური სტენდი „ოლიმპიური ჩემპიონები საქართველოდან“. ამავე თარიღთან დაკავშირებით მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაისტამბა წიგნი „ჰელსინკი 1952“.

ასეთსავე დონეზე დაისტამბა „ნონა“, რომელიც ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის 60-წლიან იუბილეს მიეძღვნა. ამავე თარიღს მიეძღვნა ბრწყინვალე საიუბილეო საღამო, რაც მნიშვნელოვან წილად ოლიმპიზმის პროპაგანდაც იყო.

ყველა ამ იუბილეს ესწრებოდნენ როგორც საერთაშორისო და ევროპის, ისე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები.

ნონა გაფრინდაშვილის სეოკ-ის პრეზიდენტად ყოფნის წლებში თუ საქართველოს ეოკ-ი ოლიმპიურ ოჯახში ძირითადად დამკვიდრებას ცდილობდა, ჯანო ბაგრატიონის ხანაში უკვე მოპოვებული ავტორიტეტის განმტკიცებაზე ზრუნავდა. ამას ხელს უწყობდა არა მხოლოდ სოკ-ის ან ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ეგიდით ჩატარებულ ასპარეზობებში გამოსვლა და სხვადასხვა გამოფენებზე თუ კონკურსებში ჩაბმა, არამედ მათ გენერალურ ასამბლეებში სისტემატური მონაწილეობა, მრავალი საქმიანი შეხვედრა უცხოეთში და საპასუხო ვიზიტები თბილისში. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის გაზაფხულ-

ლოზანა. 2001 წელი. ხუან ანტონიო სამარანჩის „ოქროს საწმისის" ორდენით დაჯილდოების ამსახველი სურათები. ზემოთ ხუან ანტონიო სამარანჩი, პერე მირო და ემზარ ზენაიშვილი

Lausanne. 2001. The pictures showing decoration of Juan Antonio Samaranch with the "Gold Fleece." The upper left photo: Juan Antonio Samaranch, Pere Mirro and Emzar Zenaishvili

თბილისი. 2001 წელი. სეოკ-ის აღმასკომის ახალი შემადგენლობა

Tbilisi. 2001. New composition of GNOC

ზე საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილე თამაზ ყიფიანის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის ეოკ-ის ექვსკაციანი დელეგაციის ვიზიტი ლოზანაში. მაშინ თამაზ ყიფიანმა სოკ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს გადასცა უცხოელთათვის განკუთვნილი საქართველოს უმაღლესი ჯილდო, „ოქროს საწმისის" ორდენი და ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მილოცვა.

ჯანო ბაგრატიონის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობისას ჩვენი ქვეყნის ეოკ-ში უცხოელთა პირველი დიდმნიშვნელოვანი ვიზიტი 1997 წლის ზაფხულში გაიმართა. მაშინ თბილისს ეწვივნენ სოკ-ის აღმასკომის წევრი, სოკ-ისა და „დაიმლერ ბენცის" სპეციალური ერთობლივი პროგრამის კოორდინატორი, გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონი თომას ბახი, „დაიმლერ ბენცის" პირველი ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობათა და კორპორაციული ბიზნესის საკითხებში მათიას კლაინერტი, „დაიმლერ ბენცის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, პროფესორი იოჰანეს ზემლერი, კონსულტანტი დიტერ კუნლე და კლაინერტის ასისტენტი მარია ჰარდერი. გერმანიის ამ უდიდესი სამრეწველო ჯგუფისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მსოფლიოს მასშტაბის პარტნიორის წარმომადგენლები თბილისს ძალზე ხელდამშვენებულნი ესტუმრნენ და სეოკ-ისთვის საჩუქრად „დაიმლერ ბენცის" მიკროავტობუსი ჩამოიყვანეს. ეს საჩუქარი და მათი ჩამოსვლაც, შეიძლება ითქვას, რომ განაპირობა სოკ-ის პრეზიდენტის მიწვევით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ჯანო ბაგრატიონისა და სეოკ-ის გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის სტუმრობამ და იქ გამართულმა შეხვედრებმა. ამ ვიზიტისას სამარანჩმა უფრო ახლოს გაიცნო სეოკ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტი.

– მაშინ სამარანჩმა გვითხრა, ვიცით თქვენი გაჭირვება, ვიცით სხვათა გაჭირვებაც. ბევრი

**თბილისი. 1997 წელი.
სოკ-ისა და „დაიმლერ ბენცის" სპეციალური ერთობლივი პროგრამით გათვალისწინებული საჩუქრის „დაიმლერ ბენცის" მიკროავტობუსის გადაცემის ცერემონიალი. მარცხნიდან – თომას ბახი, ჯანო ბაგრატიონი, მათიას კლაინერტი**

**Tbilisi. 1997.
The ceremony of passing "Daimler-Benz" minibus to GNOC as a gift within the GNOC and "Daimler-Benz special joint program. From left to right: Thomas Bach, Jano Bagrationi and Matthias Klainert**

**თბილისი. 1997 წელი.
თომას ბახი და ჯანო ბაგრატიონი „ოლიმპიური რბენის" მონაწილეებთან**

**Tbilisi. 1997.
Thomas Bach, Jano Bagrationi together with participants of "Olympic Round"**

გვთხოვს დახმარებას, მდიდრებიც და ღარიბებიც, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სოკ-ი მდიდარი ორგანიზაციაა, ყველას ვერ გავწვდებითო, ჩვენ კი დახმარებას დაგვპირდნენ, – გვიამბო ლოზანიდან დაბრუნებულმა ჯანო ბაგრატიონმა.

დაპირებები ასრულდა და იმაზე მეტადაც, ვიდრე ამას საქართველოს ოლიმპიელთა თავკაცები წარმოიდგენდნენ.

ძალზე სასარგებლო იყო იაპონია-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტის კოჯი ოსავას ხელშეწყობით გამართული შეხვედრები ამომავალი მზის ქვეყნის ბიზნესმენებთან, როგორც ნაგანოსა და ტოკიოში, ისე თბილისში, რომლებიც 1998-99 წლებში გაიმართა.

შინ თუ უცხოეთში გამართული ეს და სხვა მრავალი შეხვედრა საქართველოს ოლიმპიური მოძრაობისთვის დიდი სიკეთის მომტანი აღმოჩნდა. და მაინც, თბილისში გამართული უცხოელთა ვიზიტებიდან განსაკუთრებული იყო 1999 წლის გაზაფხულზე იმჟამინდელი სოკ-ის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის მეთაურობით ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა დელეგაციის სტუმრობა თბილისში. სამარანჩის თანმხლებ პირთა შორის იყვნენ: სოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, უნგრეთის ელჩი შვეიცარიაში, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი პალ შმიტი, სოკ-ის ეოკ-ებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორი პერე მირო, სოკ-ის სამდივნოს წარმომადგენელი, სოკ-ის სპეციალურ პუბლიკაციათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1924 წელს ჩვენი ქვეყნიდან საფრანგეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტის შვილი მარი ჰელენ რუხაძე,

სოკ-ის პრეზიდენტის მდივანი ანი ინჩაუსპე და ესპანეთის სპორტული სააგენტოს დირექტორი ხოსე ანხელ კასტრო. მაშინ ხუან ანტონიო სამარანჩმა სოკ-ის ორდენებით დააჯილდოვა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ჯანო ბაგრატიონი. სეოკ-ის პრეზიდენტის დაჯილდოების ცერემონიალზე სამარანჩმა იქ დამსწრე საზოგადოებას და ბაგრატიონს შეახსენა, თქვენ იყავით წარმატების მქონე ხელბურთელი, სპორტის მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეოკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, ახლა კი მისი პრეზიდენტი ბრძანდებითო.

– წლეულს თქვენ აღნიშნავთ საქართველოს ეოკ-ის დაფუძნების 10 წლისთავის იუბილეს, – ამბობს სამარანჩი. – მადლობა მინდა მოგახსენოთ იმისთვის, რაც ამ ხნის განმავლობაში გაგიკეთებია. სწორედ ამ ოლიმპიური ორდენით მოგახსენებთ მადლობას. ეს ორდენი ეკუთვნის ყველას, ვინც თქვენთან ერთად სანაქებოდ მუშაობდა. მოხარული ვარ, რომ ამ ორდენით თქვენ შედიხართ სპორტის ისტორიაში.

– უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ამგვარი პატივი მერგო, – ამბობს დაჯილდოების შემდეგ ჯანო ბაგრატიონი. – ეს ორდენი მართლაც მხოლოდ ჩემი ჯილდო არ არის. მას განვიხილავ როგორც ქართული ოლიმპიური მოძრაობის, სხვათა მუშაობის აღიარებად. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის, ბატონი ედუარდ შევარდნაძისა და ჩემი ორდენებით დაჯილდოება ოლიმპიურ მოძრაობაში, ჩვენს მიერ შეტანილ მოკრძალებულ წვლილთან ერთად განაპირობა თქვენმა

მოსკოვი. 1998 წელი.
მსოფლიოს
I ახალგაზრდული
სპორტული თამაშები.

Moscow. 1998.
The world's first youth
sports games.

ირაკლი ლაბაძე;

Irakli Labadze ;

შალვა მუხიაშვილი,
ლევან ვაჭარაძე, შალვა
ბოღოლაშვილი და
მიხეილ ბაგაური

Shalva Mukhiashvili,
Levan Vacharadze,
Shalva Bogholashvili and
Mikheil Bagauri

ჯანო ბაგრატიონი ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონების შოთა ხაბარელისა და დავით ხახალეიშვილის გარემოცვაში

Jano Bagrationi with the Olimpic Champions Shota Chabareli and David Chachaleishvili

თბილისი. 2000 წელი.
უცხოური ოლიმპიური მოძრაობის ლიდერები საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმში ჯანო ბაგრატიონთან ერთად

Tbilisi. 2000. Foreign Olimpic movement's leaders with Jano Bagrationi in the Georgian Olimpic museum

**თბილისი. 1999 წელი.
იაპონია-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტის კოჯი ოსავას ხელშეწყობით სეოკ-ში გამართული შეხვედრის მონაწილენი**

**Tbilisi. 1999.
Participants of the meeting in GNOC arranged with the help of Koji Osava, President of Japanese-Georgian Association of Friendship**

**თბილისი. 2003 წელი.
საქართველოს ოლიმპიური ფესტივალის სტუმარ-მასპინძელი**

**Tbilisi. 2003.
Georgian Olimpic Festival's guests and hosts**

გულთბილმა დამოკიდებულებამ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისა და ეოკ-ისადმი. პირადად მე მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ ოლიმპიური მოძრაობის საკეთილდღეოდ.

ჯანო ბაგრატიონი სამარანჩისადმი მიცემული პირობის ერთგული დარჩა მას მერეც, როცა ინსულტის მძიმე ფორმებმა მის ფიზიკურ შესაძლებლობებს დაღი დაასვა, მიუხედავად ამისა, 2001 წელს სეოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე მან კვლავ იყარა კენჭი, სადაც გადამწყვეტ ეტაპზე მისი მთავარი კონკურენტი იყო მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, სეოკ-ის მუდმივი წევრი ლევან თედიაშვილი. ჯანო ბაგრატიონმა 166-დან 129 ხმა მოიპოვა და კვლავ პრეზიდენტად აირჩიეს.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჯანო ბაგრატიონმა ბოლო წლებში გააკეთა, იყო ოლიმპიური ფონდის დაარსება, რაც შესაძლებელი გახდა სეოკ-ის დიდი მონდომებით და ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის კეთილი ნებით, რამაც საქართველოში ოლიმპიური მოძრაობა წელში გამართა.

ათენის ოლიმპიური თამაშების მერე ჯანო ბაგრატიონმა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად კენჭი აღარ იყარა, თუმცა ოლიმპიურ მოძრაობას კვლავაც ერთგულად ემსახურება.

ცინარა ტერელაძის
„ცხენბურთი“

Tsinara Tereladze's "Horse-Ball"

„ბეისბოლი“ და მისი ავტორი
ლევან ვარდოსანიძე ლოზანაში
ხუან ანტონიო
სამარანჩთან ერთად

"Baseball" and its author Levan Vardosanidze

თბილისი. 1999 წელი.
სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის სტუმრობა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში.
ამ სტუმრობისას სამარანჩმა ჯანო ბაგრატიონი ოლიმპიური ორდენით დააჯილდოვა.

Tbilisi. 1999.
IOC President Juan Antonio Samaranch's visit to GNOC. During this visit Samaranch decorated Jano Bagrationi with IOC Olympic Order

თბილისი. 2005 წელი.
მარიო პესკანტე და პატრიკ ჰიკი ჯანო ბაგრატიონს ევროპის ეოკ-თა ორდენით აჯილდოებენ

Tbilisi. 2005.
Mario Peskante and Patrick Hickey awarding the Order of Europe's National Olympic Committees to Jano Bagrationi

თბილისი. 2003 წელი.
ბადრი პატარკაციშვილი, ლერი ხაბელოვი
და ჯანო ბაგრატიონი მეუღლე
მანანა მგალობლიშვილთან ერთად

Tbilisi. 2003.
Badri Patarkacishvili, Leri Khabelov and Jano Bagrationi with his wife Manana Mgaloblishvili

თბილისი. 2001 წელი.
ჯანო ბაგრატიონი და ხუან ანტონიო
სამარანჩი საქართველოს ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტის
თანამშრომლებთან ერთად

Tbilisi. 2001.
Jano Bagrationi and Juan Antonio Samaranch are in the company of GNOC employees

ბატონ ბაგრატიონს,

ჩემთვის დიდი პატივია, რომ 70 წლის იუბილე მოგილოცოთ და საუკეთესო სურვილები გადმოგცეთ. თქვენი ცხოვრების განმავლობაში, როგორც სპორტსმენი, როგორც მწვრთნელი და სპორტის ხელმძღვანელი, საკუთარ ქვეყანაში სპორტისა და ოლიმპიზმის განვითარებას ემსახურეთ.

დაახლოებით ოცი წლის წინათ მე, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, თვალყურს ვადევნებდი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბებას, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი თქვენც ბრძანდებოდით.

1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ თქვენ გახდით დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და რვა წლის განმავლობაში მის სათავეში იდექით. როგორც საპატიო პრეზიდენტი დღესაც დიდ ყურადღებას აქცევთ სპორტის განვითარებას და თქვენს ცოდნას თუ გამოცდილებას სხვებსაც უზიარებთ. თქვენ ნათელ კვალს ტოვებთ საქართველოს სპორტის განვითარებაში.

ჩემთვის ისიც დიდი პატივია, რომ 1998 წელს იმ ღვაწლისა და მონდომებისთვის, რომლითაც თქვენ ემსახურეთ მსოფლიო სპორტს, ოლიმპიური ორდენით დაგაჯილდოვეთ. გისურვებთ ბედნიერებას თქვენს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

ხუან ანტონიო სამარანჩი,
მარკიზ დე სამარანჩი,
სოკ-ის საპატიო პრეზიდენტი

Dear Mr Bagrationi,

I am pleased to convey my sincere congratulations and best wishes for your 70th birthday. Throughout your life, whether as an athlete, a coach or a sports leader, you have served your country with dedication and worked tirelessly to promote sport and Olimpism and their values for the well-being of young people.

Almost 20 years ago, I, as President of the International Olimpic Committee, closely followed the foundation of the Georgian National Olympic Committee, of which you were one of the initiators.

Just after the 1996 Games in Atlanta, the first Games for Georgia as an independent team, you became President of the NOC, a position which you held for the next eight years. Today, as Honorary President, I am convinced that still keep a close eye on Georgia's sports movement, providing your knowledge and clear vision of sport.

I must say that you have clearly left an indelible mark on the landscape of sport in Georgia. And I was very pleased, in 1999, to honour you with the Olympic Order, a well-deserved distinction for all these years spent serving the world of sport.

I would like to send you my heartfelt congratulations. And I wish you a very happy 70th birthday surrounded by all your friends and family.

JUAN ANTONIO SAMARANCH,
MARQUES DE SAMARANCH
IOC Honorary President

ჯანო და ესტრადა



JANO AND BANDSTAND

IV

თბილისი. 1999 წელი.
ჯანო ბაგრატიონმა სეოკ-ის
10 წლისთავის საიუბილეო საღამოზე თავისი
საყვარელი „ყვავილების ქვეყანაც“ იმღერა. ამბობს:
„სიმღერა მართლაც ჩემი გატაცებაა, ჰობია. ისეთ
ოჯახში გავიზარდე, სადაც ქორეოგრაფიისადმი და
სიმღერისადმი, საერთოდ ქართული კულტურისადმი
დიდი პატივისცემის ტრადიცია იყო“.

Tbilisi. 1999.
Jano Bagrationi sang his favorite song "Country of Flowers" at the celebration of GNOC's 10th anniversary. He says, "Singing is truly my hobby. The family which brought me up followed the tradition of great respect for choreography, singing and Georgian culture in general".

სოლისტ ჯანო ბაგრატიონის მონაწილეობით მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის საკონცერტო აფიშები

The consert posters of Georgian Polytechnic institute with the solist Jano Bagrationi in the cast together with the laureate of the world's festival

ჯანო ბაგრატიონმა (ზედა ფოტოზე, ზედა რიგში, მარცხნიდან მეორე) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრთან ერთად 1959 წელს ცელინოგრადიც მოიარა და ყამირელებს საკონცერტოდ ეწვია; ქვედა სურათზე: ჯანო ბაგრატიონი ამავე ორკესტრის სოლისტებთან ნანული აბესაძესთან და ლოლა ხომიანცთან ერთადაა აღბეჭდილი.

As a member of pops orchestra to Georgian Polytechnic Institute Jano Bagrationi (second from the left in the upper row on the upper photo) traveled to Tselinograd and visited worker in the virgin lands with concerts. The lower photo shows Jano Bagrationi together with soloists of the same orchestra Nanuli Abesadze and Lola Khomiants.

ჯანო ბაგრატიონის სასცენო ეპიზოდები
Jano Bagrationi on the scene

ჯანო ბაგრატიონი: „სიმღერა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ეს საქმე ჩემი პროფესია არ არის და არც პრეტენზია მაქვს".
ზოგჯერ სიმღერის მოყვარული ჯანო ბაგრატიონი და ამ საქმის პროფესიონალი მისი ძმისშვილი ლიზა ბაგრატიონი ერთმანეთს შეუხმატკბილებენ ხოლმე და მსმენელთ ხიბლავენ.

Jano Bagrationi: "Singing is a part of my life, but it's not my profession and I don't claim this". Sometimes lover of songs Jano Bagrationi entertains the audience while singing in duet with professional singer Liza Bagrationi who is his niece.

თბილისი. 1999 წელი.
ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამოს წამყვანმა ნინო შუბლაძემ ჯანო ბაგრატიონს მიკროფონი ოპერის „საოჯახო" ლოჟაში მიართვა და იუბილარს მანაც იქიდან უმღერა

Tbilisi. 1999.
During the jubilee soiree in the opera-house in honor of Nona Gaprindashvili, the anchor of the soiree Nino Shubladze gave a microphone to Jano Bagrationi right in the "family" box-seat where Jano sang a song in honor of Nona

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც განსაკუთრებით უყვართ და პატივს სცემენ ადამიანს, რომელიც იშვიათი პიროვნული თვისებებით, სამართლიანობითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩევა. ბატონი ჯანო ბაგრატიონი სწორედ ასეთი კაცია — თავისი ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარულე.

ბატონ ჯანოს დიდი ხანია ვიცნობ. ის მართლაც სპორტის კაცია. ეს არაა ხმამაღალი ნათქვამი. თუ მასთან საქმიანი და პიროვნული ურთიერთობა გაკავშირებს, ამაში ყოველდღიურად რწმუნდები.

საქართველოს ძიუდოისტთა გუნდი წლის განმავლობაში უამრავ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. ყოველთვის, სადაც არ უნდა ვიყოთ, ჯანო ბაგრატიონი აქტიურადაა ჩაბმული გუნდის ცხოვრებაში. გვირეკავს, მოგვიკითხავს, გამარჯვებას პირველი გვილოცავს; ისეთ დეტალებში ერკვევა, რომ ყველანი გაკვირვებულნი ვართ. იგი ყველა ჩვენს მეტოქესაც კი კარგად იცნობს და იცის მათი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამასვე ამბობენ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც. მართლაც, იშვიათია ადამიანი, რომ ასე იყოს სპორტზე შეყვარებული, რაც დიდ ყურადღებასა და თანადგომაშიც გამოიხატება, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში მისი მოღვაწეობა კი ოქროს ხანად მიმაჩნია.

ზოთა ხაბარელი,
ოლიმპიური ჩემპიონი,
საქართველოს ძიუდოისტთა
ნაკრების უფროსი მწვრთნელი

საბედნიეროდ, საქართველოში მუდამ იყვნენ და არიან მამულიშვილები, რომლებიც ტრადიციებს, კაცურ-კაცობას, ერთგულებას, კაცთმოყვარეობასა და სიკეთეს განასახიერებენ. სწორედ ასეთია ჯანო ბაგრატიონი, კეთილშობილი დიდგვაროვანი და მამაცი, ბრგე და მოხდენილი, ულამაზესი ხმის ტემბრითა და სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული, ახალგაზრდობაში თვალსაჩინო სპორტსმენი, მათი აღმზრდელი და ამ საქმის დღესაც დიდი ერთგული და გულშემატკივარი, საუკეთესო მეუღლე, მამა და ბაბუა. ეს ყოველივე ერთეულთა ხვედრია. ანტიკურ საბერძნეთში სწორედ ასეთ ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებებს ეთაყვანებოდნენ და დღესაც დიდ პატივში არიან.

სწორედ ასეთად იცნობს მას ყველა, როგორც კოლორიტულ პიროვნებას.

ჯანო ბაგრატიონი უხდება თავის გვარს, თავის ქალაქს, ქვეყანას და მისეულ სიმღერას, რაც გენეტიკურად მოსდგამს.

იგი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილია, თუმცა დღესაც თავდაუზოგავად შრომობს და მისთვის ჩვეულ, მრავალ კეთილ საქმეს აკეთებს.

მარიკა კვალიაშვილი,
კომპოზიტორი

საოჯახო ალბომიდან



FROM THE FAMILY ALBUM

V

ერთი წლის ჯანო ბაგრატიონი
One year old Jano Bagrationi

შვიდი წლის ჯანო ბაგრატიონი
Seven year old Jano Bagrationi



ჯანო ბაგრატიონი: „მამაჩემი, ჯანო (ირაკლი) ბაგრატიონი საქართველოს სახალხო არტისტი იყო. იგი ქართული ქორეოგრაფიის სათავეებთან იდგა. მათ შორის, ვინც ქორეოგრაფიაში ერთმანეთს შეუთავსა ძველი და ახალი, ტრადიციული და თანამედროვე, ჯანო ბაგრატიონიც იყო. ამასთან, გადასარევად მღეროდა. მამა იყო საქართველოს სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრის შემქმნელი და სამხატვრო ხელმძღვანელიც. ამ ჯაზში გაიჟღერა პირველად „ყვავილების ქვეყანამ“.

Jano Bagrationi: "My father Jano (Irakli) Bagrationi was People's Artist of Georgia. He was at the origins of Georgian choreography. Jano Bagrationi was among them who combined in our choreography new and old, traditional and contemporary trends.
My father was excellent singer, creator and artistic director of Georgia's state jazz orchestra. This jazz orchestra was the first that played "Country of Flowers".

„დედაჩემი, ქეთევან მგალობლიშვილი-ბაგრატიონისა მამაზე 10 წლით უმცროსი იყო. კონსერვატორიაში სწავლობდა და მამაც იქ გაიცნო. დედა ნადეჟდა ხარაძესთან და მერი ნაკაშიძესთან ერთად მღეროდა. ერთხანს მამასთან ერთად ანსამბლშიც ცეკვავდა.
მე რომ ამ ქვეყანას მოვევლინე, დედამ სასცენო მოღვაწეობა მიატოვა“.

"My mother Ketevan Mgaloblishvili-Bagrationi was 10 years younger than my father. She studied at the conservatory and acquainted with my father there. My mother was singing together with Mary Nakashidze and Nadezda Kharadze. One time she was dancing in the ensemble together with my father. After my birth my mother had quitted her activity at the stage".

თბილისი. 1965 წელი.
ქორწინების სახლში. ჯანო ბაგრატიონი:
„ჩემი მეუღლე მანანა მგალობლიშვილი
პროფესიით ბიოლოგია, ბავშვთა
რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს.
ძალიან მოსიყვარულე და ყურადღებიანი
მეუღლეა, კარგი დიასახლისი.
არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებს. ძალიან
აზარტულია და თან მყვება. სულ ჩამჩიჩინებს,
საკუთარ თავს მიხედეო“.

Tbilisi. 1965.
Jano Bagrationi: „My wife Manana Mgaloblishvili is a biologist by trade and works in a Republican Pediatric Hospital. She is very affectionate and tactful spouse and a good housewife. She is a wonderful cook. She is very enthusiastic, takes care of me and constantly urges me to look after my health“.

„ჩემი ძმა გიორგი ბაგრატიონი ჩემზე რვა
წლით უმცროსია. მატყლის წარმოების
ტექნოლოგი გახლავთ. არაჩვეულებრივი
მეუღლე და ორი ქალიშვილი ჰყავს. გიორგი
ჩემი ძმაცაა და მეგობარიც. დღეში
რამდენჯერმე მირეკავს. უერთმანეთოდ
ყოფნა არ შეგვიძლია“.

"My brother Giorgi Bagrationi is eight years younger and he is a technologist of wool production. He has wonderful wife and two daughters. Giorgi is both my brother and friend. He calls me several times a day. We can't be in comfort without each other".

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II სტუმრად ჯანო ბაგრატიონის ოჯახთან.
ჯანო ბაგრატიონი: „მე უბედნიერესი კაცი ვარ, რადგან ჩემს ოჯახში არასოდეს ყოფილა გაუგებრობა. მთელს სანათესაოს ბედნიერი ურთიერთობა გვაქვს. უერთმანეთოდ ყოფნა არ შეგვიძლია“.

„I'm the happiest man, because my family has never seen any row. The whole kinsfolk have cordial relations and we always need each other“.

I

შტრიხები პორტრეტისათვის

FEATURES TO THE PORTRAIT

7

II

სპორტულ და სამწვრთნელოსარბიელზე

AT A SPORT-GROUND AND COACH ARENA

35

III

ჯანო და ოლიმპიური მოძრაობა

JANO AND OLYMPIC MOVEMENT

47

IV

ჯანო და ესტრადა

JANO AND BANDSTAND

81

V

საოჯახო ალბომიდან

FROM THE FAMILY ALBUM

89

იბეჭდება
საქართველოს ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტის დაკვეთით

საქართველო

GEORGIA

**Published
by request of the Georgian
National Olympic Committee**

სახალხო ბანკი

სპორტის კაცი

ავთანდილ გურასაშვილი

თბილისი

2008

MAN OF SPORT

Avtandil Gurasashvili

Tbilisi

2008

მეორე ქართული და პირველი ინგლისური გამოცემა

The second Georgian and first English edition

რედაქტორი	Editor
ემზარ ზენაიშვილი	**Emzar Zenaishvili**
კონცეფცია და დიზაინი	Concept and design
ავთანდილ გურასაშვილი	**Avtandil Gurasashvili**
კორექტორი	Proof-reader
ნათელა ხოშტარია	**Natela Khoshtaria**
ფოტო	Photo

სლიმ აარონი (გარეკანის პირველ გვერდზე), ვლადიმერ გრებნევი (39), ავთანდილ გურასაშვილი (8, 18 27, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 82, 87), მიხეილ ზარგარიანი (35, 36, 37, 41, 42, 43), ემზარ ზენაიშვილი (15, 16, 19, 22, 68), ჯემალ კასრაძე (69), ალექსანდრე კოტორაშვილი (12, 44)

გამოყენებულია აგრეთვე

დაუდგენელ ავტორთა ფოტოები

Slim Aron, Vladimer Grebnev (39), Avtandil Gurasashvili (8, 18 27, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 82, 87), Michael Zargarian (35, 36, 37, 41, 42, 43), Emzar Zenaishvili (15, 16, 19, 22, 68), Jemal Kasradze (69), Alexander Kotorashvili (12, 44)

© ISBN 978-9941-9010-4-1

დაიბეჭდა შპს „სეზანში“

CEZANNE PRINTING HOUSE